ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

* 2 ( ltrtv,thb7 @)!@
1292 (5982)
afcb5 #) stshb

10 დეკემბრიდან!
3ფ[ფქბ სფჯ,ფ4 +
საქართველოს 6ჯ3ბ $
სამოციქულო ეკლესიის
ისტორია * ქფ3ბ



## ვანო მერაბიშვილი: ნაციონალებს ვერ დააშინებენ!“

გვ.3

როგორ დასრულდა ყოფილი პრემიერის მეორე დაკითხვა

## დემურ გიორხელიძე: ტარიფების დაწევა შესაძლებელია“

ეს ქვეყანა ინვესტორის სიამოვნებისთვის არსებობს
თუ საკუთარი ხალხის კეთილდღეობისთვის?

გვ.2



## ნუგზარ წიკლაური: ნანუაშვილი ქართველი ხალხის ადვოკატი ვერ იქნება!“



გვ.3



გვ.5

## ნანა დევდარიანი: ხელისუფლება გიგა ბოკერიას შანტაჟზე არ უნდა წამოეგოს“



სოზარ სუბარი არასამთავრობოებს ციხეების მონიტორინგის უფლებას მისცემს

გვ.6

## ქართული ტელემედია

გვ.4

## პარლამენტში რადიაცია ნორმაშია

9 771987 938006



გვ.3

3 დეკემბრიდან!
3ფ[ფქბ სფჯ,ფ4 +
წმინდანთა %
ცხოვრება ქფ3ბ
6ჯ3ბ @

# დემურ გიორხელიძე: ტარიფების დაწევა შესაძლებელია“

## ეს ქვეყანა ინვესტორის სიამოვნებისთვის არსებობს თუ საკუთარი ხალხის კეთილდღეობისთვის?

შორენა კოწოწაშვილი

დემურ გიორხელიძე ახალ ხელისუფლებას საკადრო პოლიტიკას უწუნებს და მთავრობას იმ დაპირებების შესრულებას ურჩევს, რომლებიც ბიძინა ივანიშვილის მხრიდან წინასაარჩევნოდ სწორად იქნა გათვლილი.

„ქართული ოცნების“ აგრარული პროგრამის ავტორი დარწმუნებულია, რომ უახლოეს მომავალში ნაციონალების ბაზაზე, უფრო სწორად, ამ იდეოლოგიის მიმდევარი ახალი სახეების მიერ ახალი პოლიტიკური ძალა ჩამოყალიბდება, რომელსაც ქვეყნის გარედან ექნება დაფინანსება და კონსულტაციები.

არის თუ არა მოსალოდნელი სააკაშვილის გუნდის მხრიდან რევანში და რა შანსები აქვთ ნაციონალებს? — ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს „ქართული ოცნების“ თემატური ჯგუფის ხელმძღვანელთან სოფლის მეურნეობისა და ეკონომიკის საკითხებში დემურ გიორხელიძესთან.

***— ბატონო დემურ, როგორ შეაფასებდით ახალი ხელისუფლების პირველ ნაბიჯებს, მართლდება იმ ადამიანების შეფასებები, რომლებიც ფიქრობენ, რომ ივანიშვილის ხელისუფლება სააკაშვილის გუნდის წევრების დაჭერებით გაერთო, ნაციონალები კი რევანშისთვის ემზადებიან?***

— ალმასრულებელ ხელისუფლებას ორი თვე არც ჰქონია რეალური საქმისათვის. ამ პერიოდში ბევრი რამის გაკეთება შეუძლებელი იყო, მაგრამ ამ პერიოდში დადებითი ინფორმაციული ველი უნდა შექმნილიყო, ანუ რაღაც ტენდენცია გამოკვეთილიყო, თუ გნებავთ, განცხადებების დონეზე. ბევრი სფერო ჯერ კიდევ მიტოვებულია, ყურადღების გარეშეა ახალი ხელისუფლების მიერ, რადგან არაფერი გაცხადებულა ამის თაობაზე. ეს დამაფიქრებელია. პირველი, რასაც ხედავს საზოგადოება — საკადრო პოლიტიკა, რომელიც ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. ამას თვითონ გრძნობენ და აუცილებლად იქნება გადათამაშებები ძალიან სერიოზულ დონეზე. სხვა მხრივ კი, მე ვფიქრობ, მართლაც ცოტა მოცდა დაგვჭირდება, თუ ამ პერიოდმა იგივე უახლოესმა ორმა-სამმა თვემ რაიმე სერიოზული გარდატეხა არ შეიტანა ახალი ხელისუფლების მოქმედებებში, ვფიქრობ, საზოგადოების ნეგატიური განწყობები აშკარად გაძლიერდება. ეს კი სასურველი არ არის. რაც შეეხება ნაციონალურ მოძრაობას, ეს წმინდა პოლიტიკური თემაა. არ ვფიქრობ, რომ ნაციონალურ მოძრაობას საკუთრივ რაიმე პერსპექტივა გააჩნია. პოლიტიკურ ძალას, რომელსაც არ აქვს პერსპექტივა, რევანში არ შეუძლია. მაგრამ, ვისაც პოლიტიკური ანალიზის ელემენტარული უნარი გააჩნია, „აირაის“ გამოკვლევები აშკარად მიანიშნებს სცენარზე, რომელიც შეიძლება უახლოეს ხანში განვითარდეს. ნაციონალური მოძრაობა, როგორც მკვდარი პოლიტიკური პარტია, ვერ იარსებებს, იგი პოლიტიკურად არაპერსპექტიულია. ყველაზე რეალურად გამოიყურება ახალი პოლიტიკური პარტიის შექმნა ამ ბაზაზე ანუ ყველა ოდიოზური ფიგურის ჩამოცილება და შედარებით მშვიდი, არაგამაღიზიანებელი სახეების ფონზე გაკეთდება ახალი პარტია, რომელიც იდეოლოგიურად ზუსტად იგივე იქნება, რაც დღევანდელი ნაციონალური მოძრაობაა. ეს არ არის დიდი ხნის პერსპექტივა, ეს ახლო პერიოდის პერსპექტივაა. ისინი საკმაოდ ძლიერი საკონსულტაციო და ფინანსური მხარდაჭერის ქვეშ იქნებიან. ფიქრობ, ახალ ხელისუფლებას მართებს პოლიტიკურ სიძლიერეზე საუბარი, რადგან კოალიციამ თავისი ფუნქცია, პრინციპში, უკვე შეასრულა. ბიძინა ივანიშვილის ავტორიტეტით იგი ხელისუფლებაში მოვიდა, მაგრამ კოალიცია გრძელვადიან პერსპექტივაში სიცოცხლისუნარიანი ვერ იქნება. ამას სერიოზული დაკვირვება სჭირდება. საჭიროა, გარკვეული გადაჯგუფებები ახლო პერიოდში. ამას თავისთავად დრო მოიტანს, ისეთი, რომელიც ბალანსების შექმნის საშუალებას მოგვცემს. დააკვირდით, რა ხდება: უკვე განცხადებები კეთდება მესამე ძალის შექმნის თაობაზე. რატომ მიაჩნია ვინმეს, რომ ის არის მესამე ძალა და არა სხვა, სწორი სცენარი იქნება მესამე და მეოთხე ძალა შეიქმნას. ეს საუკეთესო გამოსავალი იქნება. რამდენადაც ეს ძალები დამოუკიდებელნი იქნებიან თავის პოლიტიკურ საქმიანობაში და იქნებიან პრინციპულნი მსოფლმხედველობის დონეზე, მით უკეთესი ქვეყნისათვის. ამიტომ ძალიან სერიოზული პოლიტიკური პროცესები გველოდება წინ, მით უმეტეს, პრეზიდენტის ვადა მომავალ წელს ამოიწურება და ის წავა, მანამდე ძალიან სერიოზული ნაბიჯები იქნება გადადგმული ყველა მიმართულებით. ვინც დროულად და სწორად არ იმოქმედებს, ხელისუფლებაში მყოფი იქნება თუ ხელისუფლების გარეთ, ყველანი პოლიტიკური პროცესის გარეთ დარჩებიან.

***— ქვეყნის გარედან შეეცდებიან ნაციონალური მოძრაობის ბაზაზე ახალი პოლიტიკური პარტიის შექმნას და ნაციონალების „ლიბერალური“ იდეოლოგიის შენარჩუნებას?***

— დარწმუნებული ვარ, წინა ხელისუფლების რამდენიმე ოდიოზური ფიგურა დღეს იმდენად ახალგაზრდაა პოლიტიკური თვალსაზრისით, რომ პოლიტიკიდან წასვლის სურვილი არ ექნებათ. მაგრამ, რადგან აქ საქმე გაიფუჭეს და საუკეთესო ურთიერთობები აქვთ მოძებნილი დასავლეთის გარკვეულ ჯგუფებთან, ისინი ქვეყანაში დარჩენის შემთხვევაში ძალიან დაბალი ეფექტისა იქნებიან და მათი ავტორიტეტი ნულოვანი იქნება. მაგრამ მათ შეუძლიათ, იმ ახალ პოლიტიკურ ძალას გარედან აღმოუჩინონ დახმარება. ვფიქრობ, ისინი საზღვარგარეთ იცხოვრებენ და პრაქტიკულად სერიოზულ მხარდაჭერას და გზებს გაუხსნიან ამ ახალგაზრდებს, რომლებიც იქნებიან ზუსტად იმ პოლიტიკურ პლატფორმაზე, რაზეც ნაციონალური მოძრაობა იყო დასავლეთისაკენ. ეს მათი ინტერესებში შედის პოლიტიკური სიცოცხლის შენარჩუნებისთვის. შემდეგ უკვე დროის განმავლობაში პროგნოზირება დღეს არაკეთილშობილური საქმეა, იმიტომ, რომ ამ ადამიანებისათვის 20-წლიანი პერსპექტივაც ძალიან მცირეა და პოლიტიკაში 20– წლიან პერსპექტივაზეც უნდა თვალო წესიერმა პოლიტიკოსმა. მომავალი წლის განმავლობაში რა სახის პოლიტიკური პროცესები განვითარდება, ქვეყნის მომავალი ამაზე ბევრად იქნება დამოკიდებული. ვფიქრობ, მენტალური ცვლილებები უნდა მოხდეს, იმიტომ რომ ყველა ძველი სქემა, რომელიც ქართულ პოლიტიკაში არსებობდა, არის მკვდარი სქემა, წაგებული სქემა. ხედავთ, რა მდგომარეობაშია პოლიტიკური სპექტრი. ახლა თუ დარჩენილმა გონიერმა ადამიანებმა არაფერი მოიფიქრეს ისეთი, რომელიც



სერიოზული პოლიტიკის ჩარჩოებში იქნება, მაშინ თამაში ისევ წაგებული იქნება და ისევ გარკვეული სცენარების ფარგლებში და გარკვეული ფინანსური ინტერესებიდან გამომდინარე ვიღაც ადამიანები რაღაც ფუსფუსს ატეხენ, თუმცა ეს პოლიტიკურ პროცესს ოდნავადაც ვერ შეცვლის. მე ვსაუბრობ იმ პოლიტიკურ შესაძლო კონსტრუქციებზე, რომლებსაც შეუძლიათ იყვნენ ალტერნატივები ქვეყანაში. აუცილებელია, ქვეყანაში იყოს ალტერნატიული ელიტა და ეს აუცილებლად იქნება, რომლის წიაღშიც მოიხარშება ქვეყნის განვითარების სხვა შეხედულებები, სხვა პერსპექტივა საქართველოსთვის, სხვა საფუძვლებზე, ვიდრე დღესაა. კონტრელიტის ფარგლებში ჩამოყალიბდება ის ხედვები, რომელზეც, ღრმად ვარ დარწმუნებული, საზოგადოების ძალიან დიდი ნაწილი გააკეთებს ორიენტაციას.

***— საბოტაჟის მცდელობა იკვეთება საპარლამენტო უმცირესობის მხრიდან? დღეს უფრო რთულია ივანიშვილისთვის ქვეყნის შიგნით და გარეთ სიტუაციის მართვა თუ არჩევნებამდე, ოპოზიციაში ყოფნისას?***

— ნუ ვიტყვით, რომ ეს არის საბოტაჟი. როგორი პოლიტიკა გვინდა, კონსტიტუციური უმრავლესობა გვინდა, განუსაზღვრელად ჩვენ განვსაზღვრავდეთ ყველაფერს? ჩვენ ამას მივეჩვიეთ, საუბედუროდ, ქართველმა ხალხმა ეს დაუშვა, როდესაც 2003 წელს დაუკვირვებლად ერთ პოლიტიკურ ჯგუფს მისცა ყველა ძალაუფლება, რაც კი ქვეყანაში არსებობდა. ასეთი ხელისუფლება კატასტროფაა. ჩვენ ვნახეთ, რა მძიმე შედეგები მივიღეთ. ახლა ნებისმიერი პოლიტიკური ძალისთვის, როგორი მომხიბლავი გვარიც არ უნდა იყოს, ისევ საკონსტიტუციო უმრავლესობის მიცემა, ისევ განუკითხავი ძალის მიცემა იქნება უდიდესი შეცდომა. პოლიტიკოსებმა უნდა ისწავლონ შეზღუდული რესურსების ფარგლებში მოქმედება, რადგან შეზღუდული რესურსები საშუალებას გაძლევს, რომ შენს კოალიციებზე და გონივრულ პოლიტიკურ ნაბიჯებზე იფიქრო; მინიმალური შეცდომები დაუშვა ანუ იყო ფრთხილი. განუკითხაობა სიფრთხილეს ადუნებს და ჩვენ ვხედავთ, რა მოაქვს. ამიტომ, არ არის ეს საბოტაჟი. ეს არის მცდელობა ოპოზიციაში მყოფი ძალისა, რომელსაც აქვს ბერკეტები სახელისუფლებო და სერიოზული ბერკეტები, შეაფერხოს ახალი ხელისუფლების წარმატებული სვლა. რამდენ შეცდომასაც დაუშვებს ახალი ხელისუფლება, იმდენჯერ ათჯერ მძიმედ წარმოაჩენს ამას ოპოზიციური ძალა. ეს არის ძალიან სერიოზული პოლიტიკური თამაში. მე ვფიქრობ, რომ ჯერჯერობით უფრო მეტ უზუსტობას უშვებს ახალი ხელისუფლება, ვიდრე ოპოზიცია. რომ არა ოდიოზური სახეები, ასეთი შეკრული და კონცენტრირებული ოპოზიცია, ქართულ პოლიტიკურ ისტორიაში ბოლო 22 წელია არ ყოფილა. მაგრამ პრობლემა ოპოზიციას აქვს სწორედ სახეები, რომლებსაც ძალიან დიდი პოლიტიკური ცოდვები აქვთ თავიანთ კისერზე და ამიტომ არ არიან ისინი ქმედითი. თორემ, იმ უზუსტობების ფონზე, რაც ახალმა ხელისუფლებამ განსაკუთრებით საკადრო პოლიტიკაში დაუშვა, იგივე, ვთქვათ, იმ არგათვლილი განცხადებების გამო, რომ საარჩევნო პერიოდში გარკვეული ვალდებულებები ზედმეტად იქნა აღებული, რაც არ შეიძლება. არაფერი ზედმეტად არ იქნა აღებული, ყველაფერი სწორედ იქნა აღებული, მაგრამ საზოგადოება, რომელიც დღეს გარკვეულად უკვე ნელ-ნელა იკრებს ძალას, ამას დასავლეთში ძალიან მძიმედ გაუკეთებენ პრეზენტაციას.

***— სოციალურ ვალდებულებებს გულისხმობთ?***

— დიახ. არ შეიძლება, არჩევნების წინ რაიმეს დაჰპირდე საზოგადოებას და შემდეგ ის ვერ შეასრულო. მაშინ პოლიტიკური თამაშის წესი ირღვევა ქვეყანაში. როგორ, მე შენს დაპირებებს, შენს მცდელობებს ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ვუჭერ მხარს და არ შეიძლება, ხელისუფლებაში მოხვიდე და განაცხადო, რომ არ შეგიძლია ამის შესრულება. როგორ არ შეიძლება! ბატონი ივანიშვილი აბსოლუტურად ზუსტი იყო, არაფერი დაპირება არ ყოფილა საზოგადოებისთვის თვალებში ნაცრის შეყრის მიზნით. არც ერთი დაპირება არ გაკეთებულა „ქართული ოცნების“ მხრიდან საზოგადოების „დაბოლების“ მიზნით. ყველაფერი სწორად არის დათვლილი და ამას ახლა შესრულება უნდა. ამის გაკეთებას კი ეკონომიკაში სერიოზული ცვლილებები უნდა. ამას პროფესიონალები და გუნდი სჭირდება, რომელმაც იცის, ამ ეკონომიკური და ფინანსური ჭაობიდან, ქვეყანა როგორ ამოაძვრინოს. აქ არ არის საკმარისი კარგი სპეციალისტები ამა თუ იმ დარგში. აქ არის საჭირო სისტემურად მოაზროვნე ადამიანები, რომლებიც კრიზისული სიტუაციებიდან ამოათრევენ ჩვენს ქვეყანას. მერე უკვე ყველაფერზე შეიძლება საუბარი.

***— ხელისუფლებისთვის ყველაზე მტკივნეული საკითხი დღეს ეკონომიკური პრობლემების მოგვარება და სოციალური დაპირებების — პენსიების, დახმარებების გაზრდაა?***

— ყველაზე დიდი სირთულე ხელისუფლებას დღეს აქვს დასაქმების უზრუნველყოფაში. დღეს რომ საქართველოში ასეთი მასობრივი უმუშევრობა არ იყოს, ასეთი დაბალი შემოსავლები რომ არ იყოს, მაშინ ეს ტარიფი ასე გამანადგურებელი არ იქნებოდა. მაშინ არ იქნებოდა ეს ფასები — ეს ყაჩაღური ფასები, იგივე ნავთობპროდუქტებზე, მედიკამენტებზე. მე ამათ ბიზნესმენებს არ ვეძახი. თუ ეწყინებათ, არ მაინტერესებს. ესენი არიან მძარცველები, რომლებიც სარგებლობდნენ წინა ხელისუფლების მხარდაჭერით და ყველაფერი ააგეს იმაზე, რომ საკუთარი ბიზნესი ეკეთებინათ და განუკითხავად დიდი ფული ეშოვათ. მაგრამ მე ვფიქრობ, დღეს საზოგადოება სხვაა და ასეთი განუკითხავი ქმედება მათ აღარ გამოუვათ.

***— თქვენი აზრით, რატომ არ წავიდა ახალი ხელისუფლება სერიოზულ საკადრო ცვლილებებზე და არაპროფესიონალი კადრების გაშვებაზე, იმიჯს გაუფრთხილდა და უკმაყოფილების ტალღის შეეშინდა?***

— თუ ჩვენ ავიღებთ ყველაზე სწორ კრიტერიუმს და სახელმწიფო სამსახურში ეს კრიტერიუმი არ შეიძლება იყოს სხვანაირი, გარდა წესიერებისა და პროფესიონალიზმისა და ამ პრინციპით შევარჩევთ ჩვენ კადრებს, მაშინ მნიშვნელობა არ აქვს, ის ნაციონალური მოძრაობის დროს იქნა მიღებული სახელმწიფო სამსახურში თუ არა. კატასტროფული კრიტერიუმებით არჩევდა წინა ხელისუფლება თავის კადრებს, ამიტომ არის სამინისტროები გამოტენილი არაპროფესიონალებით, ბალასტით. ახალგაზრდულ ასაკში არიან, მაგრამ კატასტროფული პროფესიული დონე გააჩნიათ. თუკი ეს კადრები შენარჩუნებული იქნება და ჩვენ ანონიმურად, კრიტერიუმების დონეზე არ შევარჩევთ კონკურსის საფუძველზე ახალ ადმინისტრაციებს, ახალ ბიუროკრატიას, არ გამოვა ქვეყნის სწორად მართვა. ვისაც სურვილი აქვს, რომ სახელმწიფო სამსახურში იმუშაონ, იმათ უნდა გაეხსნათ გზა. ამის ერთადერთი საშუალება კონკურსებია. ჯერ არც ერთი კონკურსი არ ჩატარებულა. ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანები, რომლებიც ნიშნავენ ამ კადრებს, ბევრ რამეში არ არიან გარკვეული, პირველ რიგში, მათ არ აქვთ პოლიტიკური პასუხისმგებლობა, რადგან ისინი სარგებლობენ მხოლოდ ივანიშვილის სახელით და ამ ერთმა კაცმა მოიყვანა ისინი ხელისუფლებაში. ახლა რადგან მასთან დაახლოებული არიან მიაჩნიათ, რომ უფლება აქვთ აკეთონ სისულელეები. ხელისუფლებას სჭირდება ყველაზე მთავარი — პასუხისმგებლობა საკუთარი ხალხის წინაშე. ამის გარეშე არაფერი გამოვა.

***— ჩანს, რომ ხელისუფლება დაჭერებით გაერთო და დაპირებების შესრულება დაავიწყდა?***

— მე ჩემი ნეგატიური დამოკიდებულება დაჭერების მიმართ გამოვხატე. ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ დამნაშავე არ უნდა იქნეს დაკავებული. პირიქით, ყველა დამნაშავე დაკავებულ უნდა იქნეს. მაგრამ ამის ფორმაზეა საუბარი. დაკავებას ამხელა პიარი არ სჭირდება. გადავა საქმეები სასამართლოში და მედიაც ინტერესით გააშუქებს. თუ ვინმემ მართლა მოიფიქრა იმ პრობლემების ამ პიარით გადაფარვა, ძალიან ცუდად მოუფიქრებია. მესმის ხალხის განწყობა. სამართლიანობის აღდგენა იმას არ ნიშნავს, რომ ხალხის დაჭერა სანახაობად აქციოს. თუ ეს პოლიტიკური ტექნოლოგიაა, მაშინ ცუდადაა საქმე.

***— ბოლოს, ვისაუბროთ ტარიფებზე. რა რესურსია ტარიფების დაწევის და რას იტყვით ამ საკითხზე მაღალჩინოსნების განცხადებებზე?***

— მე ყველას ვურჩევდი, რომ უხერხულ მდგომარეობაში არ აღმოჩნდნენ, ვინც აცხადებს, რომ ტარიფები შემცირდება. მე გამზადებული მაქვს გაანგარიშებები, ხელოვნურად ვიკავებ თავს, ველოდები, მთავრობის გადაწყვეტილება როგორი იქნება. მერე დავდებ ზუსტ გაანგარიშებას, რატომ არის სემეკის მიერ დაწესებული ასეთი მძარცველური ტარიფი გაზზე; რატომ არის ასეთი ძალიან მაღალი ტარიფი ელექტროენერგიაზე. ტარიფები ყოველთვის დიდი პოლიტიკაა. ტარიფები არ არის ეკონომიკა. ჩვენ მოვისმინეთ კომენტარები, რომ ტარიფის ერთი-ორი თეთრითაც შემცირება ინვესტორების შემოსვლას ხელს შეუწყობს. რაზე გვაქვს გათვლები, რა, 11-თეთრიანი ტარიფი ინვესტორს არ მოიზიდავს?! რაზე გვაქვს გათვლა — ეს ქვეყანა განუკითხავად ინვესტორის სიამოვნებისთვის არსებობს თუ საკუთარი ხალხის კეთილდღეობისთვის? არავითარი ინვესტორის დაფრთხობა არ მოხდება, ამ მხრივ არაერთი კარგი ნაბიჯია გადადგმული.

***— თქვენი დაანგარიშებით, რა დონეზე შეიძლება დაიწიოს ტარიფებმა?***

— ელექტროენერგიაზე: 11 თეთრი ზამთრის ტარიფი, 10 თეთრამდე მაქსიმუმ — ზაფხულის ტარიფი. რაც შეეხება ბუნებრივ აირს, მთლად რომ მოიკლან თავი მთელმა დაინტერესებულმა ჯგუფებმა მაქსიმალური ტარიფი გაქაჩონ გაზზე, 36 თეთრს ვერ გადაახტებიან. ახლა მე ცუდ ტარიფს ვამბობ. მაშინ, თუ 36 თეთრი იქნება, კეთილი ინებონ და ინფრასტრუქტურას მოახმარონ ის ზედმეტი თანხა, რომელიც ამ ტარიფიდან შემოდის. ყველაფერი დათვლილია და ტარიფების დაწევა შესაძლებელია.

ახალი თაობა

www.atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

# ნუგზარ წიკლაური: ნანუაშვილი ქართველი ხალხის ადვოკატი ვერ იქნება!“

შორენა მარსაგიშვილი

**დიდი განსჯის და ნერვიულობის შემდეგ საპარლამენტო უმრავლესობამ, როგორც იქნა, შეარჩია სახალხო დამცველობისთვის კანდიდატი. ამიერიდან ომბუდსმენის ტვირთის ტარება უჩა ნანუაშვილს მოუწევს. ის გუშინ წარდგა პარლამენტის წინაშე. ხუთშაბათს კი ის საპარლამენტო უმცირესობის წევრებს შეხვდა. ნაციონალებმა ნანუაშვილს პირში მიახალეს, შენს კანდიდატურას მხარს არ დავუჭერთო.**



ნაციონალების უარმა არც ნანუაშვილი დაამწუხრა და არც უმრავლესობა. პირიქით, გუშინდელ სხდომაზე უმრავლესობა ხალისიან გუნებაზე შეუდგა მუშაობას. ანცობის გუნებაზე მყოფი დეპუტატები ისე იყვნენ აჟიტირებული, რეგისტრაციის გავლა ძლივს მოახერხეს.

– ყველანი კარგ ხასიათზე ხართ. ეტყობა, რაღაც კარგი იცით და მიმალავთ, – მიმართა დავით სპიკერმა ახმაურებულ კოლეგებს.

მხიარული სხდომა, როგორც იქნა, დაიწყო. ომბუდსმენობის კანდიდატი პარლამენტს თავის სამომავლო გეგმებზე მოუთხრობდა.

უჩა ნანუაშვილი სახალხო დამცველის პოსტზე საკუთარი საქმიანობის გააქტიურებას კონფლიქტურ რეგიონებთან მიმართებაშიც გეგმავს.

– ადამიანის უფლებები კონფლიქტურ ზონებში მასობრივად ირღვევა და მნიშვნელოვანია, იქ მცხოვრები ადამიანების როგორც ქართველების, ასევე აფხაზი და ოსი მოქალაქეების უფლებების დაცვა მოხდეს. ამ მიმართულებით საერთაშორისო ორგანიზაციებთან, მათ შორის ევროკავშირის მისიასთან სერიოზული საქმიანობაა ჩასატარებელი. ადგილი აქვს უფლებათა მასობრივად დარღვევის ფაქტებს და ამიტომ ეს რეგიონები მაქსიმალური ყურადღების ქვეშ უნდა იყოს, – აცხადებს სახალხოდამცველობის კანდიდატი.

ის სახალხო დამცველის ოფისთან არსებული მონიტორინგის ჯგუფის შემადგენლობის გადახედვასა და გადახალისებაც გეგმავს.

– როდესაც ქვეყანაში 5 ათასი პატიმარია, ამ შემთხვევაში სხვა სახის მონიტორინგზე შეიძლება ვისაუბროთ, მაგრამ როდესაც საქმე 20-25 ათასს პატიმარს ეხება, მონიტორინგის 5-კაციანი ჯგუფი ვერაფერს უზრუნველყოფს და ვერანაირ შედეგს ვერ დადებს. მონიტორინგის ჯგუფი უნდა გადაიხედოს, ეს სტრუქტურა მაქსიმალურად ღია და გამჭვირვალე უნდა გახდეს და მაქსიმალურად კვალიფიციური ადამიანებით დაკომპლექტდეს, – აღნიშნა ნანუაშვილმა.

ნაციონალები დაინტერესდნენ, რას ფიქრობს ნანუაშვილი იმაზე, რომ ბაჩო ახალაია იმ ციხეში გაამწესეს, სადაც სასჯელს კანონიერი ქურდები იხდიან. კითხვის ადრესატი ამაში განსაკუთრებულსა და საგანგაშოს ვერაფერს ხედავს.

– ბევრი ცნობილი, ყოფილი მაღალი თანამდებობის პირი სწორედ ამ საპატიმროში იმყოფებოდა. იგივე მირცხულავა, მოლაშვილი, ბათიაშვილი, მაგრამ სამწუხაროდ, მაშინ არავის გასჩენია კითხვა – რატომ იმყოფებოდნენ ისინი ე.წ. კანონიერ ქურდებთან? – განაცხადა მან.

უმცირესობამ ომბუდსმენობის კანდიდატს ივანიშვილის საწინააღმდეგო განცხადებაც „გამოსტყუა.“ კერძოდ, უმცირესობა დაინტერესდა, თუ რას ფიქრობს ნანუაშვილი პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის განცხადებაზე, რომლის მიხედვითაც, თუ ოპოზიცია რიტორიკას არ შეცვლიდა, პროკურატურასთან რიგები დადგებოდა.

– რა თქმა უნდა, ივანიშვილის ამ განცხადებას არ ვეთანხმები, – აღნიშნა ნანუაშვილმა.

პარლამენტში გამოსვლისას ნანუაშვილმა ბოლოდროინდელ დაკავებებზეც ისაუბრა. ნაციონალები მას ჩააცივდნენ, რას ფიქრობ თენგიზ გუნავას დაკავებაზეო. ვისაც აღარ გახსოვთ, შეგახსენებთ, რომ გუნავა ორჯერ დააკავეს, მაგრამ სასამართლომ გირაო დააკისრა და ისე გამოუშვა. არის საფუძვლიანი ეჭვი, რომ ბიუჯეტის შევსებას მეოცნებეები გუნავას ხარჯზე აპირებენ..

– მე დაველოდები გამოძიების მასალებს, მტკიცებულებებს და ყველა შესაძლო გადაცდომაზე რეაგირებას მოვახდენ. ამ დრომდე არც ერთი დაკავებული უფლებების შელახვის თაობაზე არ ჩივის. ადგილი არ ჰქონია ცემისა და წამების ფაქტებს, რაც წინა წლების განმავლობაში ხდებოდა. თენგიზ გუნავას საქმეს პირად კონტროლზე ავიყვან, – განაცხადა ნანუაშვილმა.

ნაციონალები, როგორც მოსალოდნელი იყო, უკმაყოფილონი დარჩნენ ომბუდსმენობის კანდიდატის პასუხებით. თუმცა, რომ მოსწონებოდათ რამე, ამას ხმამაღლა როგორ იტყოდნენ.

„ქართული ოცნების“ რისხვა ნუგზარ წიკლაური მიიჩნევს, რომ უჩა ნანუაშვილი ქართველი ხალხის უფლებებს არ დაიცავს.

– ჩემს ქართველ ხალხს ის ადამიანი ვერ დაიცავს, რომელიც პროკურორის ტონალობით რუსეთის ინტერესებიდან გამომდინარე საუბრობს. ადამიანი, რომელიც საქართველოს ომის დაწყებაში ადანაშაულებს, ქართველ ხალხს მოძალადეების მიმართ ბოდიშის მოხდას სთხოვს და ადამიანი, რომელიც რუსულ გამოცემასთან ამბობს, რომ საქართველო ომის დაწყებას კვლავ აპირებს, ეს ადამიანი ჩემს ხალხს ვერ დაიცავს. ყოფილმა ომბუდსმენმა, გიორგი ტუღუშმა სახალხო დამცველის აპარატის მაღალი სტანდარტი დაამკვიდრა. ახალი ომბუდსმენი არის თუ არა ის ადამიანი, რომელიც შეძლებს სათანადო სიმაღლეზე ამ ხარისხის შენარჩუნებას. ეს იქნება ერთი კონკრეტული პარტიის სახალხო დამცველი თუ ხალხის წარმომადგენელი – სამწუხაროდ, ხალხის წარმომადგენელი ვერ იქნება, – განაცხადა განრისხებულმა წიკლაურმა.

ნანუაშვილის იმედი არც დეპუტატ გოგა ხაჩიძეს აქვს. ხაჩიძე ალბათ იმითაა უკმაყოფილო, რომ ომბუდსმენობის კანდიდატმა მისი მშობლების სახლის ჩხრეკა სათანადოდ არ გააპროტესტა.

– მე არ მაქვს იმედი, რომ უჩა ნანუაშვილი განსაკუთრებული სახალხო დამცველი იქნება, მით უმეტეს, რომ ის ამჟღავნებს საკუთარ უარყოფით დამოკიდებულებას საპარლამენტო უმცირესობის მიმართ. ბატონო უჩა, თქვენ „ოცნების“ ომბუდსმენი ბრძანდებით, – მიმართა ნანუაშვილს ხაჩიძემ.

პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია კი დარწმუნებულია, რომ უჩა ნანუაშვილი ძალიან კარგი სახალხო დამცველი ქვეყნისთვის იქნება და არა კონკრეტული პოლიტიკური პარტიისთვის.

– მე დარწმუნებული ვარ, რომ წარმოდგენილი კანდიდატურა საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვის გარანტიისთვის ძალიან კარგი ომბუდსმენი იქნება. ასევე მიმაჩნია, რომ ის კარგი სახალხო დამცველი არა კონკრეტული პოლიტიკური ძალისთვის, არამედ ქვეყნისთვის იქნება, – აღნიშნა მეოცნებე დეპუტატმა.

გია ცაგარეიშვილმა კი ნაცმოძს ძველი ცოდვები შეახსენა. მისი მტკიცებით, უმრავლესობაში მყოფ ნაციონალებს ერთ-ერთ უდიდეს მტრად სახალხო დამცველი მიაჩნდა.

მანვე ბიბუაშვილს შეახსენა, რომ მისი ვალდებულება არა ხელისუფლების გულშემატკივრობა, არამედ მეთვალყურეობაა. დეპუტატი მომავალ სახალხო დამცველს სთხოვს, ხელისუფლებას და სახელმწიფო მოხელეებს გადაცდომებზე მუდმივად მიუთითოს.

– აქამდე სახალხო დამცველი ხელისუფლებასთან მუდმივ კონფლიქტში იყო, რაც ყველანაირ ნორმალურ ზღვარს სცდებოდა. „ნაციონალურ მოძრაობას“ სახალხო დამცველი ერთ-ერთ უდიდეს მტრად მიაჩნდა. 2007 წლის 7 ნოემბერს სოზარ სუბარი იყო იქ, სადაც უნდა ყოფილიყო, როცა ადამიანებს არბევდნენ, ეს უდიდეს ცოდვად ჩაეთვალა და ამ ადამიანს „ნაციონალური მოძრაობა“ მტრად მოეკიდა. წინა მოწვევის პარლამენტებში სახალხო დამცველის მიერ წარდგენილი ანგარიშების მოსმენის პრაქტიკა იყო საინტერესო. „ნაციონალური მოძრაობა“ ადამიანის უფლებათა დარღვევის თაობაზე მომზადებულ 800-გვერდიან დოკუმენტს სხდომათა ცარიელ დარბაზში იხილავდა, შემდეგ ცნობად იღებდა და თაროზე დებდა, – განაცხადა გია ცაგარეიშვილმა.




# პარლამენტში რადიაცია ნორმაშია

შორენა მარსაგიშვილი

ახალ პარლამენტში თანამშრომლები ხშირად ხდებიან ცუდად. ჰაერის უკმარისობის გამო რამდენიმე ადამიანი საავადმყოფოში მოხვდა. ერთ-ერთი ინციდენტი 2 კვირის წინ დაფიქსირდა. სწორედ მაშინ მოიწვიეს ვითარების შესასწავლად სპეციალისტები.

სამეცნიერო კვლევითმა კომპანიამ – „გამა“ პარლამენტში ჰაერის სიჩქარის, ტემპერატურის, ტენიანობის, ხმაურის, წყლის, ვენტილაციისა და რადიოაქტიური ნივთიერებების სინჯები აიღო. „გამამ“ აღებული ნიმუშები და სინჯები ლაბორატორიაში საგულდაგულოდ დაამუშავა და მომზადებული დასკვნა პარლამენტის აპარატს გადასცა.

ქუთაისში მდებარე პარლამენტის შენობაში ჟანგბადის მაჩვენებელი საკმარისზე დაბალია, ნახშირორჟანგის მაჩვენებელი კი აწეულია, – ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ სამეცნიერო-კვლევითი ფირმა „გამას“ პრეზიდენტმა ვახტანგ გვახარიამ განუცხადა.

მისი თქმით, საკანონმდებლო ორგანოს შენობაში ჰაერის შემადგენლობა ჯანმრთელობისთვის სასარგებლო არ არის, კერძოდ, ნახშირორჟანგისა და ჟანგბადის რაოდენობა ჰაერის საშუალო შემადგენლობის მაჩვენებელს არ პასუხობს.

– ნახშირორჟანგის მაჩვენებელი აწეულია, ჟანგბადი კი დაწეულია, ასე 19%-ის ფარგლებში. სავარაუდოდ, სწორედ ამის გამო განიცდიან თანამშრომლები დისკომფორტს, უსიამოვნო შეგრძნებებს, გულის რევას, თავის ტკივილს, – აღნიშნა გვახარიამ.

მისივე თქმით, პრობლემაა ასევე ისიც, რომ შენობა საერთოდ არ ნიავდება, ჰაერის ბრუნვის პროცესი კი არასწორად მიმდინარეობს. ამასთან, შენობაში ჰაერის ტემპერატურა საკმარისზე მაღალია. ვახტანგ გვახარიას ინფორმაციით, სერიოზულად დგას ვენტილაციის პრობლემა და ის სათანადო დონეზე არ მუშაობს.

– როგორც ჩვენ გვეჩვენება, ვენტილაციის პრობლემა საკმაოდ ძნელი გადასაწყვეტი იქნება. სწორედ ვენტილაციის გამოა შენობაში ხმაური, რაც ასევე არანაკლები პრობლემაა, – აღნიშნა მან.

მისივე ინფორმაციით, პარლამენტში სასმელი წყლის მაჩვენებელი ნორმალურია და სტანდარტებს პასუხობს. რაც შეეხება რადიაციის მაჩვენებელს, მისივე თქმით, რადიაციის მაჩვენებელი ნორმაშია და რადიაციის ის ფონია, რაც ქუთაისშია.

# ვანო მერაბიშვილი: ნაციონალებს ვერ დააშინებენ!“

## როგორ დასრულდა ყოფილი პრემიერის მეორე დაკითხვა

შორენა მარსაგიშვილი

ქვეყნის ხერხემლად შერაცხული ვანო მერაბიშვილი გუშინ კიდევ ერთხელ დაიბარეს შსს-ში ჩვენების მისაცემად. ყოფილი პრემიერის განმეორებით დაკითხვა მის მიერ საქართველოს საზღვრის ყალბი დოკუმენტაციით გადაკვეთის მცდელობის ფაქტზე აღძრული სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში მოხდა.

ამ ცუღლუტობაზე ვანო მერაბიშვილმა ჩვენება პირველ დეკემბერს უკვე მისცა. ყველას ეგონა, რომ შსს ვანოს შეეშვა, მაგრამ ვინ გვაცალა ოცნება. შსს-ს ინფორმაციით, ყოფილმა პრემიერმა გამოძიებასთან ფაქტობრივად არ ითანამშრომლა, რის გამოც მისი ხელმეორედ დაკითხვა მოითხოვეს.



მას კითხვებზე პასუხის გასაცემად დილიდან უხმეს. გუშინ მისი დაკითხვა 5 საათს გაგრძელდა. პირველ დეკემბერს მას მხოლოდ 2 საათის განმავლობაში კითხავდნენ. მერაბიშვილი მიიჩნევს, რომ აქ ლევან მაისურაძის სახელზე გაცემული პასპორტი არაფერ შუაშია. ის ფიქრობს, რომ დევნიან, რადგანაც რუსეთის აგენტებს ებრძოდა.

– პარლამენტმა 5 დეკემბერს მიიღო დადგენილება და პოლიტპატიმრებად აღიარა რუსეთის სპეცსამსახურის აგენტები, ტერორისტები და ისინი, ვინც ქართულ სახელმწიფოს უთხრიდნენ ძირს. აქედან გამომდინარე ძალიან ლოგიკურია, რომ ვინც ამ ადამიანებს ებრძოდა, დაკითხვებზე დადიოდეს, – განაცხადა დაკითხვაზე შესვლის წინ ვანო მერაბიშვილმა.

ვიდრე ვანო მერაბიშვილი კითხვებს პასუხობდა, რამდენიმე ათეული ნაციონალი შსს-ს შენობასთან შეიკრიბა. მათ ყოფილი დეპუტატი კობა ხაბაზი მეთაურობდა.

– გვინდა გამოვხატოთ ჩვენი პროტესტი იმ სამარცხვინო პოლიტიკის მიმართ, რასაც ივანიშვილი ახორციელებს. მან ღიად მოუწოდა ოპოზიციას, რიტორიკა შეცვალოს. სასაცილოა, როდესაც ხელისუფლება მოუწოდებს ოპოზიციას, არ გააკრიტიკოს. ეს ოპოზიციის ფუნქციაა. ცრუ ბრალდებებით ხდება დაბარებები და დაკითხვები. ჩვენ მოვედით, რომ ამასთან დაკავშირებით პროტესტი გამოვხატოთ. რაც შეეხება პროკურატურას, ის ივანიშვილის დაკვეთით ზეწოლას ახორციელებს ოპოზიციაზე, – განაცხადა შეშფოთებულმა კობა ხაბაზმა.

ისე, როცა ნაცმოძი ნაცმოძობდა, ხაბაზი ოპოზიციის მსგავს ჩივილებს სასაცილოდ მიიჩნევდა. ამტკიცებდა, რომ ხელისუფლება ყველას სამართლიანად იჭერდა. ახლა კი სხვანაირად ფიქრობს.

მცირერიცხოვან აქციას მგზნებარე ნინა წკრიალაშვილიც შეუერთდა. მისი თქმით, მერაბიშვილის შსს-ში დაბარება ბოლო წვეთი იყო. რის გამოც ის სახლში ვერ გაჩერდებოდა. ასეთი აღშფოთებული ნინა წკრიალაშვილი იმ დროსაც არ ყოფილა, როცა რუსები მის მშობლიურ გორს ბომბავდნენ. იმ დღეებში მან პეკინის ოლიმპიადაზე შეძლო დარჩენა.

დაკითხვიდან გამოსული მერაბიშვილი ამაყად გრძნობდა თავს. ამტკიცებდა, რომ კარგად ჩაცმული პატრული მისი დამსახურებაა. არადა, ბოროტი ხმები ამბობენ, რომ შსს-ს შენობის აშენება, პატრულის შემოსვა და აღჭურვა ივანიშვილის ფინანსებით მოხდაო.

მერაბიშვილი ახლა ამაზე არ საუბრობს. ახლა ზეწოლებს უჩივის. ამასთან ხელისუფლებას აფრთხილებს, რომ არაფერი არ გამოუვათ.

– ხელისუფლების მიზანია, „ნაციონალურ მოძრაობას“, როგორც პარტიას, არ ჰქონდეს საშუალება ამ ხელისუფლების კრიტიკა გააგრძელოს. ჩვენ გავაგრძელებთ მუშაობას, რათა საქართველოს თითოეულ მოქალაქეს ჰქონდეს საშუალება, ისარგებლოს ყველა იმ სიკეთით, რომელსაც იგი მიიღებს. ჩვენ გავაგრძელებთ ყოველდღე მუშაობას. განახლებული „ნაციონალური მოძრაობა“ უზრუნველყოფს, რომ საქართველოს მოსახლეობამ მიიღოს ინფორმაცია იმ ვალდებულებებზე, სოციალურ საკითხებზე, რომლებიც სახელმწიფოს გააჩნია. მე და ჩემი თითოეული მეგობარი, ვინც ციხეში არ იქნება დაჭერილი, ვინც არ იქნება დაკითხვაზე, მთელ დროს მოვანდომებთ, რომ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ გააგრძელოს საკუთარი ფუნქციების შესრულება და მთავარ აქცენტს გავაკეთებთ ახალი წინადადებების შეთავაზებაზე, რათა ჩვენი ცხოვრება გახდეს გაცილებით უკეთესი, – განაცხადა მერაბიშვილმა.

თამარ ნინიძე

**ინტერვიუ „ქართული ოცნების“ წევრ დავით კუპარეიშვილთან**

# რუსეთთან ურთიერთობა უკვე გარკვეული გვაქვს

***— პოლიტპატიმართა სიასთან დაკავშირებით ნაცმოძრაობასა და „ქართულ ოცნებას“ შორის შეთანხმება ვერ მოხდა. ნაცმოძრაობას თავისი არგუმენტები აქვს. თქვენ როგორ შეაფასებთ ამ პროცესს?***

— პოლიტპატიმრების შესახებ პარლამენტმა დადგენილება უკვე მიიღო, ამ დადგენილებამ კანონის ძალა უკვე შეიძინა. პოლიტპატიმრებს უფლება აქვთ მოითხოვონ კომპენსაცია. ნაცმოძრაობის პოზიციას რაც შეეხება, ეს არ იყო გასაკვირი. პარლამენტმა აღიარა ცხრა წლის განმავლობაში ნაცმოძრაობის მიერ დაკავებული პირები როგორც პოლიტპატიმრები, ეს ამ პოლიტიკური ძალის საქმიანობისთვის ხაზის გადასმაა. ნაცები ცდილობდნენ საქართველოს მოსახლეობაზე ზემოქმედება მოეხდინათ. ამ პოლიტპატიმრების უმრავლესობას ტერორისტებად და მკვლელებად მიიჩნევდნენ. მოსახლეობამ კარგად იცის, ეს ადამიანები რისთვის არიან დაკავებულები. მონარქისტული პარტიის თავმჯდომარე თემურ ჟორჟოლიანი პოლიტიკური მოტივით დააპატიმრეს. ასევე მერაბ კოსტავას საზოგადოების თავმჯდომარე ვაჟა ადამია იყო დაკავებული. 1 ოქტომბერს საქართველოს მოსახლეობამ ხმა მისცა არა ტარიფების განახევრებას, არამედ სამართლიანობის აღდგენას. დარწმუნებული ვარ, პარლამენტში მყოფი ნაცმოძრაობის წევრები საქართველოს მასშტაბით სხვაგან აღარ არიან და თუ ვინმეა დარჩენილი, მალე ისინიც აღარ იქნებიან. ცდილობენ, რაც ჩაიდინეს, დაფარონ. ცხრაწლიანი ტოტალიტარული მმართველობის განაჩენი იყო პოლიტპატიმრების განთავისუფლების გადაწყვეტილება. ახლახან ვიხილეთ, რომ ნაცმოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი დოკუმენტის გაყალბებასაც არ მოერიდა. ვანო მერაბიშვილი მყავს მხედველობაში.

***— აირაის კვლევები გამოქვეყნდა, სადაც ქართულ ოცნებას 63% აქვს, ნაცმოძრაობას 13%, არჩევნებამდე აირაის კვლევები ვნახეთ და შევაფასეთ. რამდენად ობიექტურია ეს კვლევები?***

— თითქოს უნდა მომწონდეს, როგორც ქართული ოცნების წევრს ჩვენთვის სასარგებლო კვლევები, მაგრამ აირაის არაობიექტურობაზე ისიც მეტყველებს, რომ ორი თვის წინ სულ სხვა მონაცემები იყო და ახლა რადიკალურად განსხვავებულია. ამიტომ არ მჯერა აირაის კვლევების. ობიექტური კვლევა რომ ჩატარდეს, ქართულ ოცნებას უფრო მეტი ექნება რეიტინგი, ნაცმოძრაობა კი 5%-საც ვერ გადასცილდება.

***— არის მოსაზრება, რომ არის პოლიტიკური ტიპის დაჭერები. დასავლეთის კრიტიკა ამ მოსაზრებას კიდევ უფრო ამწვავებს. ხომ არ არის გადაცდომები და დაინტერესება, რომ ნაცმოძრაობის წევრები იყვნენ დაკავებულები?***

— მე ვერ გავიზიარებ ამ მოსაზრებას. ვინც დაკავებულია, პროკურატურა დებს მათ მამხილებელ მასალებს საშინელ დანაშაულზე. მიკვირს, როცა ამბობენ, მერე რა თუ გენშტაბის უფროსმა კალანდაძემ ჯარისკაცს სცემა, ან ახალიამ თუ ადამიანი სამი დღით დაატყვევა და აწამა. იოლად მსჯელობს ხალხი. ამაზე ისეთი ადამიანები საუბრობენ, ვისაც ეს არ შეხებიათ. ნაციონალური მოძრაობა იყო მყარად ორგანიზებული ბანდიტური დაჯგუფება, რომელიც ყველა სახის დანაშაულს სჩადიოდა. ადამიანებს აშინებდნენ. გოგა ხაჩიძეზე ატეხეს ერთი ამბავი. შევიდა პოლიცია იმიტომ, რომ ჰქონდათ მონაცემები, რომ არარეგისტრირებული იარაღი ჰქონდათ შენახული და ეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას ითვალისწინებს. შიდა ქართლში ომი როცა მიმდინარეობდა, მაშინ ურიგებდა ხაჩიძის მამა მეზობლებს იარაღს. ხაჩიძემ თქვა, 90-იან წლებში რიგდებოდა იარაღი. იქ ვაზნები იპოვეს.

***— 90-იან წლებში შეეძლოთ სამართალდამცავებს ეპოვათ იარაღი ხაჩიძეების სახლში და რატომ მოხდა ახლა ხაჩიძის ოჯახში ჩხრეკა. ეს არ იწვევს ეჭვს?***

— შეიძლება გავიდეს ათი, ოცი წელი და ადამიანი ინახავდეს ცეცხლსასროლ იარაღს. გოგა ხაჩიძის მამას ვინ მისცა იმუნიტეტი და ხელშეუხებლობა.

***— რუსეთი-ნატოს სამიტზე სერგეი ლავროვმა განაცხადა, რომ ურთიერთობების აღსადგენად საქართველო უფროა დაინტერესებული, წარუდგინოს რუსეთს კონკრეტული გეგმა. არის ინფორმაცია, რომ რუსეთს სურს თბილისში ოკუპაციის მუზეუმის გაუქმება, ჩერქეზების გენოციდის აღიარების გაუქმება და დაპყრობილი ტერიტორიების აღიარება დამოუკიდებელ სახელმწიფოებად.***

— რუსები გაიძახიან, რომ საქართველო უნდა შეეგუოს ახალ რეალობას. უნდა მოხდეს ამ ტერიტორიების აღიარება. რუსებმა კარგად იციან, რომ 25 თებერვალს მოხდა საქართველოს ოკუპაცია და ანექსია. ჩერქეზების გენოციდი რომ მოახდინეს რუსებმა, ეს ხომ მთელმა მსოფლიომ იცის. რუსებსაც ესმით, რომ საქართველო ახალ რეალობას ვერ შეეგუება. მსოფლიომ აღიარა, რომ რუსეთმა მოახდინა საქართველოს ტერიტორიების 20%-ის ოკუპაცია. ჩვენს ხელისუფლებას სხვა გეგმა აქვს, გამოცდილი პოლიტიკოსი დანიშნა ზურაბ აბაშიძე რუსეთთან მოლაპარაკებებისთვის. საქართველო არასოდეს აღიარებს ოკუპირებული ტერიტორიების დამოუკიდებლობას.

***— რუსეთი ხელს შეგვიშლის ნატოსთან ინტეგრაციაში.***

— ეს გამორიცხულია.

***— მედვედევმა განაცხადა, რომ 2008 წლის აგვისტოში ომი რუსეთმა ნატოში ჩვენი გაწევრიანებისთვის ხელის შეშლის გამო დაიწყო.***

— გამორიცხულია, რუსეთი კიდევ ერთხელ დაგვესხას თავს, მას ოსი და აფხაზი სეპარატისტების იმედი ჰქონდა და ამიტომ შემოიჭრა ჩვენს ტერიტორიაზე. ახლა, სადაც მოინდომებს შემოჭრას, ვერსად ფეხს ვერ მოიკიდებს. სააკაშვილის ბრძანებით დაიწყო ომი, როცა პირადად სააკაშვილს ემუქრება საფრთხე, მაშინ ახსენდებათ ნაცებს საქართველო და განგაშს ტეხენ, საქართველოს დემოკრატიას საფრთხე ემუქრებაო, მაგრამ სხვა დროს ქართველები არ ახსენდებათ. სააკაშვილის რეგვენულმა პოლიტიკამ დაიწყო ომი ცხინვალში. ტალიავინის დასკვნაში ეს მკაფიოდ წერია და სააკაშვილს სირაქლემასავით თავის მალვა სილაში ვერ უშველის. ნატოში საქართველოს სწრაფვას რუსეთი ხელს ვერ შეუშლის. ჩვენი ნატოში შესვლა იმის გამო კი არ გაჭიანურდა, რომ ომი გვქონდა რუსეთთან, არამედ იმიტომ, რომ საქართველოს ევროპა საკმარისად დემოკრატიულ ქვეყნად არ მიიჩნევდა.

***— საქართველოს ახალ ხელისუფლებას ნატო და ევროკავშირი მკაცრი ტონით რატომ აკრიტიკებს?***

— ნაცებს კარგად აქვს დაყენებული პროპაგანდისტული მანქანა. უშიშროების კანტორიდან თექვსმეტი მილიონი ლარი იყო გამოყოფილი უცხოელი ლობისტების მომსახურებისთვის. ჰილარი კლინტონმა თქვა, ჩვენ ველოდებით, რომ სასამართლო პროცესები იქნება ღია და გამჭვირვალე და კანონის შესაბამისიო. კბილაშვილი მოხსენებას აკეთებს ყველა ახალ დეტალზე, რომელი ადვოკატი ამბობს, რომ მისი დაცვის ობიექტისადმი ძალადობა ან შეურაცხყოფის შემთხვევები ყოფილა, ასეთი ფაქტები არ არის.

***— ქართული ოცნების ერთ-ერთი წინასაარჩევნო დაპირება და საპროგრამო პოსტულატი იყო ნატოში საქართველოს ინტეგრაცია და ამის პარალელურად რუსეთთან ურთიერთობების დალაგება. გამომდინარე იქიდან, რომ რუსები პასიურობენ, ხომ არ განიცადა კოალიციის ამსაგარეო პრიორიტეტმა მარცხი?***

— არა, რუსეთთან ჩვენ პოლიტიკური ურთიერთობები გარკვეული გვაქვს. ჩვენი გზა არის ევროპისა და ნატოსკენ, ჩვენ ვერავინ გვაიძულებს სეპარატისტული და ოკუპირებული ტერიტორიები დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ვაღიაროთ. ეს ტერიტორიები დღეს თუ არა, ხვალ დაგვიბრუნდება. ამის გეგმა ქართულ ოცნებას აქვს. ლავროვმა განაცხადა, რომ რუსეთს აქვს კულტურული და ეკონომიკური ურთიერთობები საქართველოსთან, ჩვენ ეს გვინდა რუსეთიდან, ეს არის პოლიტიკა. იწყება ეკონომიკური ურთიერთობების დამყარება. საქართველოს ხელისუფლების თანხმობით რუსეთი გახდა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი და მას წესდება ავალდებულებს, დაამყაროს ეკონომიკურ-სავაჭრო ურთიერთობები საქართველოსთან. თუ ამ ვალდებულებას არ შეასრულებს, ვუჩივლებთ სავაჭრო ორგანიზაციაში და როგორც მიიღეს, ასევე გამოუშვებენ იქიდან.

# ქართული ტელემედია

**დრო იყო, როცა ტელემედია ყველაზე კარგ მედიასაშუალებად ითვლებოდა საკომუნიკაციო სივრცეში. მართალია, მან მედიაბაზარზე შეავიწროვა ბეჭდური მედია, მაგრამ ადამიანებისათვის ჟურნალ-გაზეთებთან შედარებით ტელევიზია უფრო ხელმისაწვდომი და სწრაფი საშუალება აღმოჩნდა. ამასთანავე, ისეთი არსებისთვის, როგორიც ადამიანია (ბუნებით_ზარმაცი), ცქერითა და სმენით მიღებული ინფორმაცია უფრო მისაღები იყო, ვიდრე_კითხვა.**

ტელემედია იმ ქვეყნებში, სადაც ტოტალური ინტერნეტიზაცია არ არსებობს, რჩება საუკეთესო მედიასაშუალებად. სამწუხარო რეალობაა, რომ ტელევიზიების უმეტესობა მსოფლიო მასშტაბით რჩება პროპაგანდა-აგიტაციის საშუალებად და ბიზნესად, რომელიც ძირითადად „ყვითელია“ და ტენდენციური.

ქართულ ტელებაზარზე ძირითადად საყურადღებოა ისეთი მაუწყებლები, რომელთაც აქვთ სატელიტური მაუწყებლობა. რეგიონებში მოქმედი ტელევიზიები ძირითადად მილოცვა-სამძიმრებით, მწირი საინფორმაციო გამოშვებით და ნაკლები სარეკლამო გაჭრებით გამოირჩევა. აქვე დავამატოთ, რომ ასეთი ტელევიზიები ძირითადად გადასცემენ სატელიტური მაუწყებლობის მქონე ტელევიზიების გადაცემებს. თუ არ ვცდები, ძირითადად „გამარჯვებული ხალხის“ „რუსთავი 2“ იკავებდა ამ ნიშას.




საზოგადოებრივი მაუწყებელი, რომელიც ქვეყნის ბიუჯეტით ფინანსდება, არაერთხელ გაატარეს კრიტიკის ქარ-ცეცხლში. მის იმიჯზე დადებითად ვერ იმოქმედა კარგმა დაფინანსებამ, საგადასახადო შეღავათებმა და „ბორდმა“. საზოგადოებრივი მაუწყებლის საგადაცემო ბადე, გადაცემების ხარისხი და მიუკერძოებლობა უამრავ კითხვას ბადებს. თუნდაც აღვნიშნოთ ის, რომ საზმაუზე ერთ-ერთ გადაცემა მიჰყავდა შსს-ს მაღალჩინოსნის მეუღლეს, ეს ფაქტი თავისთავად უკარგავდა მაუწყებელს მიუკერძოებლის სტატუსს.

რაც შეეხება „რუსთავი 2“-ს, მასთან დაკავშირებით ყველაზე მეტი კითხვა დაისვა არხის მესვეურების ხშირი ცვლის გამო. ამავე ტელევიზიას სოციალურ ქსელებში კარგა ხანია შეარქვეს კრეატიულმა ადამიანებმა „ერ ორი“, რაც წარმატებულად ნიღბავს ქარაგმულად ნათქვამ ინგლისურ სიტყვა „შეცდომას“ და ამავდროულად, ღ 2 წარმოადგენს თითქოს აბრევიატურას.




თუ გინდა გაიგო სიმართლე, მოუსმინე „ერორს“ და წარმოიდგინე საწინააღმდეგო,—ამბობდნენ კარგად ინფორმირებული ადამიანები. მაგალითის სანიმუშოდ მოყვანა თუ დაგვჭირდება, არაერთია. თუმცა IღI-ს მონაცემების მიხედვით „რუსთავი 2“ რჩება რამდენიმე მონაცემის მიხედვით ლიდერ ტელევიზიად.

„იმედი“ იმდენჯერ გადავიდა ხელიდან ხელში, რომ ძნელია ანალოგი მოუძებნო კერძო ქონების ასეთი მასშტაბითა და სიხშირით „ბურთაობას“. სულ ბოლო გადაცემა—უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით, მეპატრონისათვის დაბრუნება, მაინც ბადებს კითხვას: მთავარი მხოლოდ პატარკაციშვილის ოჯახისთვის „იმედის“ დაბრუნება იყო თუ ვინმესთვის პასუხის მოთხოვნა იმაზეც, რატომ გახდა პატარკაციშვილის მიერ შექმნილი ტელევიზია აზიარებული ძროხის სიტუაციაში? (ძროხის აზიარების ტრადიცია ქართულ სოფლებში ისევ შენარჩუნებულია. მეპატრონე ძროხას რიგი მოსაზრებების თუ საფუძვლის გამო დროებით სარგებლობაში სხვას გადასცემს, მაგრამ ბოლოს მაინც პატრონს უბრუნდება.)

„იმედის“ მოდელირებული „ქრონიკის“ დაწყება ნაციონალური ხელისუფლების დაქვეითების პარალელურად მიმდინარეობს, თუმცა კარგა ხნის განმავლობაში გაგვახსენდება ფრთიანი გამოთქმა: ღმერთმა ისეთ საქართველოში გვაცხოვროს, „იმედი“ რომ გვიჩვენებსო.




„იმედის“ რეაბილიტაციის პროცესი ბევრ დროსა და მატერიალურ ხარჯებს მოთხოვს, თუმცა პატარკაციშვილების ოჯახისთვის ტელეარხის დაბრუნება უფრო ღირსების საკითხია და არა იმდენად ბიზნესის.

ტელეკომპანია „აჭარას“ დაახლოებით იგივე მოთხოვნებს უყენებდა მაყურებელი, რასაც საზოგადოებრივ მაუწყებელს, ოღონდ მასშტაბი ბევრად უფრო მცირე იყო.

აჭარაში დაფუძნებული „თV 25“-იც ბიზნეს-პოლიტიკურ ინტერესში მოხვდა და რეგიონული ტელემედიის საერთო ფონზე საინტერესო იყო თუნდაც იმის გამო, რომ თავდაპირველმა მენეჯმენტმა მას პერსპექტიული მომავალი დაუსახა. მართალია, მას არ ჰქონდა ისეთი მატერიალური საფუძველი, როგორც ბევრ ტელევიზიას, მაგრამ საქართველოში დიდი თუ მცირე პოლიტიკის კეთება საკუთარი ტელევიზიების გარეშე წარმოუდგენელი იყო.

„კავკასია“ მცირე ოჯახურ მედიაბიზნესად ითვლება ახლაც. მისი მწირი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და მინიმუმამდე დაყვანილი ინ-




ტრიგები სტაბილურ იმიჯს უნარჩუნებს ტელევიზიას.

„თV 9“ და „ინფო 9“ ყველაზე ახალგაზრდა ტელევიზიებია, თუმცა პრემიერ-მინისტრთან მათ დაკავშირებას არ მოუტანია საზოგადოებაში განსაკუთრებული სიხარული. მართალია, ორივე ტელევიზიამ ძალიან ბევრი გააკეთა წინასაარჩევნო პერიოდის ობიექტურად გაშუქების კუთხით, მაგრამ 1 ლარად ტელევიზიის გაყიდვა-ყიდვისა და საზოგადოებრივ მაუწყებელთან შერწყმის ვარიაციამ „მეცხრე არხთან“ დაკავშირებით ბევრი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. IღI-ს გამოკითხვებს თუ დავუჯერებთ, „მეცხრე არხი“ მხოლოდ „რუსთავი 2“-ს ჩამორჩება.

რეალურად ალბათ სხვა სურათია, როცა IღI-ს მონაცემებით „მაესტრო“ მესამე ადგილს იჭერს. ძნელია, ედაო ვინმეს სოციალური კვლევების შედეგების გამოქვეყნების დროს, რადგან მოსახლეობის გამოკითხვა მიმდინარეობს შეზღუდული ოდენობით და არც სოცოლოგიური კვლევის იდეალური მეთოდი არსებობს.

მხოლოდ ერთი ფაქტი მინდა აღვნიშნო—ძალიან ხშირად მიწევდა განსხვავებული პოლიტიკური ძალების ოფისებში მისვლა. ყველგან, სადაც ტელევიზორი იყო ჩართული, ყველგან „მაესტროს“ უყურებდნენ. ბუნებრივია, აქ ორი ფაქტორი იყო გადამწყვეტი: „მაესტროს“ სანდოობა და მხოლოდ საინფორმაციო შინაარსი.

როცა „მაესტროს“ შესახებ ვსაუბრობთ, გვახსენდება ივანიშვილის დამოკიდებულება მასთან დაკავშირებით. რამდენად სწორი იყო „მაესტროს“ დამოუკიდებელი მენეჯმენტის შენარჩუნება (ან არხის გაუყიდველობა), ეს დრომ აჩვენა. თუნდაც დროებით ამ ტელეარხის რომელიმე პოლიტიკური ძალის მფლობელობაში გადასვლა მისი რეპუტაციის საფუძვლიანად შერყევას გამოიწვევდა.

როლანდ ხოჯანაშვილი

# ნანა დევდარიანი: ხელისუფლება გიგა ბოკერიას შანტაჟზე არ უნდა წამოეგოს“

ნონა ცაბაძე

## ინტერვიუ ყოფილ სახალხო დამცველ ნანა დევდარიანთან

***— ქალბატონო ნანა, პარლამენტი დღეს სახალხო დამცველს დაამტკიცებს. უმრავლესობამ უჩა ნანუაშვილის კანდიდატურას დაუჭირა მხარი. როგორ ფიქრობთ, რატომ შეცვალეს მათ ხატისკაცი ნანუაშვილით?***

— ხატისკაცი? მოდით, დავიწყოთ იქიდან, რომ გავრცელდა ინფორმაცია, მისი მეუღლე გამგებლის მოვალეობის შემსრულებელია მესტიაში და, როგორც ჩანს, დაინიშნება გამგებლად. ეს არის ინტერესთა კონფლიქტი. სახალხო დამცველის ოჯახის წევრი არ უნდა მუშაობდეს აღმასრულებელ ხელისუფლებაში, იმიტომ რომ ძირითადად ადამიანის უფლებებს არღვევენ ამ ხელისუფლების წარმომადგენლები. როგორც ჩანს და მეც ასე ვფიქრობ, სწორედ ეს გახდა იმის მიზეზი, რომ კანდიდატურა შეიცვალა.

***— რაც შეეხება უჩა ნანუაშვილს?***

— უჩა ძალიან კარგი კანდიდატურაა, სისტემურად მუშაობს ადამიანის უფლებებზე. მე მას 12 წელია ვიცნობ, რასაც ამ სფეროში აკეთებს. ერთ-ერთი ყველაზე მოწესრიგებული ადამიანია ანგარიშების თვალსაზრისით. ამდენად, მის კანდიდატურაზე რომ შეჩერდნენ, ეს გასაკვირი არ არის ნამდვილად. გარდა ამისა, ძალიან კარგი კონტაქტები აქვს საზღვარგარეთ და ასე შემდეგ. საკმაოდ კარგი კანდიდატურაა. რამდენიც არ უნდა ეცადოს საპარლამენტო უმცირესობა, რაღაცებზე „წამოიკიდოს“, არ გამოუვათ.

***— როგორც ჩანს, არ არის მათი მოსაწონი.***

— მათი მოსაწონი როგორ იქნება, ეგენი ამტკიცებენ, რომ დემოკრატია ყვაოდა საქართველოში პირველ ოქტომბრამდე და მაგათი მოსაწონი არავინ იქნება, ვინც იტყვის, რომ კატასტროფული დარღვევები იყო ადამიანის უფლებებში.

***— ქალბატონო ნანა, პოლიტპატიმრების შესახებ მიღებულ კანონს რაც შეეხება, როგორ უყურებთ ამ პროცესს და რამდენად სრულყოფილი და სამართლიანი სია იყო?***

— რა თქმა უნდა, ბოლომდე სამართლიანი ეს სია ვერ იქნებოდა, იმიტომ რომ ამომრჩევლის დაკვეთაა, რაც შეიძლება სწრაფად აღდგეს სამართლიანობა. ეს არის პირველი ეტაპი ამ სამუშაოსი. ეს გარკვევით უნდა თქვას ახალმა ხელისუფლებამ, იმიტომ რომ ამ სიის მიღმა დარჩა უამრავი ადამიანი, რომელიც იჯდა, მოიხადა, გამოვიდა და მას ვერ დაუკარგავ ამას. ახლა პირველი რიგის ამოცანა იყო, ვინც ზის, ისინი გამოეშვათ და ამიტომ პირველ რიგში ასეთი სია განიხილეს, მაგრამ შემდეგ ეტაპზე აუცილებლად იქნება იმ ადამიანების საქმეთა განხილვა, რომლებმაც მოიხადეს, რომლებსაც ქონება წაართვეს, რომლებიც აწამეს იქ და პოლიტიკური ნიშნით იყვნენ დაპატიმრებულნი. ეს საქმეები რიგში დგას. შემდეგში მათი განხილვა უნდა მოხდეს.

***— ფიქრობთ, რომ დაიწყო სამართლიანი პროცესები ქვეყანაში?***

— რა თქმა უნდა, დაიწყო. კი, არის უკმაყოფილება, ყველას ყველაფერი უნდა უცებ, მაგრამ უცებ არ ხდება ამხელა საქმის კეთება. სიჩქარით შეიძლება, პირიქით, საქმე გააფუჭო. ყველაფერი კარგად უნდა აიწონ-დაიწონოს და, სადაც 9 წელი ითმინა ხალხმა ეს უბედურება, პატარა პერიოდიც უნდა მოითმინონ იმისთვის, რომ სამართლიანობა მართლაც აღდგეს.

***— თუმცა, სოციალური ფონი კვლავ მძიმეა და, ალბათ, დამეთანხმებით, რომ ამ კუთხით დიდია უკმაყოფილება.***

— იქნება, იმიტომ რომ ახალმა ხელისუფლებამ ძალიან ყურადღებით უნდა ჩაიხედოს, რატომ ვერ აღწევს ენერგეტიკის სამინისტრო შედეგს მოლაპარაკებებში და როგორ არის კონტრაქტები გაფორმებული ამ უცხოელებთან, როგორ არის ტარიფი გამოყვანილი, რა კომპონენტებისგან შედგება, იმიტომ რომ დათვლილი და დაანგარიშებული იყო და სერიოზული გაიაფება სრულიად რეალური გახლდათ, ახლა კი რატომღაც ეს პროცესი ფერხდება. ამას ძალიან დიდი ყურადღება უნდა მიაქციონ, იმიტომ რომ, ჯერ ერთი, ძალიან ბევრი ძველი კადრი ჯერ კიდევ დარჩენილია სტრუქტურებში. მათ, რა თქმა უნდა,



არ აწყობთ ტარიფის გაიაფება, იმიტომ რომ ეს პირდაპირი აღიარებაა იმისი, რომ ყვლეფდნენ ხალხს. ამიტომ ყველანაირად შეეცდებიან, დაუსაბუთონ ახალ პრემიერსა და ხელისუფლებას, რომ ეს არის ფიზიკურად შეუძლებელი.

***— ამბობენ, თითქოს ვერ არღვევენ ხელშეკრულებებს და რა უნდა გააკეთდეს ამ კუთხით?***

— ძალიან კარგად მახსოვს, რომ ვრცელდებოდა ინფორმაცია, თუ არ წავა პირობების შესრულებაზე უცხოელი ინვესტორი, სრულიად ლეგალურად მას აუნაზღაურებენ დანახარჯს და გამოისყიდიან. ეს ცხადდებოდა ბიძინა ივანიშვილის სახელით. ბოლოს და ბოლოს, თუ შედეგი არ დადგება, რა თქმა უნდა, ამ გზით უნდა წავიდნენ, იმიტომ რომ არ შეიძლება, ინვესტორის ინტერესებს შეეწიროს შენი მოსახლეობის ინტერესები. თუ არ აწყობს ინვესტორს ამ პირობებში მუშაობა, აიღოს, რაც დანახარჯი აქვს და წავიდეს. ეს შესაძლებელია და ამის ლეგალური მექანიზმები არსებობს.

***— რაც შეეხება უგულავას ასლარიან ვაუჩერებს, როგორ ფიქრობთ, რატომ გადაწყვიტა მან ამ ეტაპზე ვაუჩერების დარიგება, თბილისელების გულის მოგება სურს?***

— რა თქმა უნდა, გულის მოგება უნდა. ის ცდილობს, რადგან არჩეული მერია, ბოლომდე შეინარჩუნოს ეს პოზიცია. სინამდვილეში თუ სერიოზულად მოჰკიდებენ ხელს მერიის განსაკუთრებით საბიუჯეტო მხარეს, სად მიდიოდა, როგორ მიდიოდა ბიუჯეტის თანხები, ტენდერები როგორ იმართებოდა და, ხშირად რომ არ იმართებოდა, იქ ძალიან ბევრი დანაშაული ამოტივტივდება და უგულავას ასლარიანი ვაუჩერი ვერ უშველის. ჯერ ერთი, მოდით, პირდაპირ ვთქვათ, რა არის ასი ლარი, ნაახალწლევს მთელი ზამთრის სეზონისთვის რა უნდა გიშველოს, მაშინ როცა ასეთი ყაჩაღური ტარიფებია! ასი ლარი ერთი თვე არ ეყოფა ერთ ოჯახს, ძალიან მოკრძალებულად რომ ხარჯოს გაზი და ელექტროენერგია, ხაზს ვუსვამ — ძალიან მოკრძალებულად. რა, ასე არ არის?! ის, უბრალოდ, გულის მოგებას ცდილობს, აი, ნახეთ, ცენტრალურმა ხელისუფლებამ ეს კი ამოიღო ბიუჯეტიდან, მაგრამ ამას ჩვენი ბიუჯეტიდან ვაკეთებთო.

***— ქალბატონო ნანა, რაც შეეხება იმ პროტესტანტებს, ბიძინა ივანიშვილის რეზიდენციასთან რომ კარვებს შლიდნენ, ითქვა, რომ ისინი ნაციონალების მიერ იყვნენ მართულნი.***

— ნამდვილად არ გამოვრიცხავ ამას. გვაქვს ინფორმაცია, რომ ნაციონალების კოორდინატორები მუშაობენ სხვადასხვა სოციალურ ჯგუფზე. მე სულაც არ გამოვრიცხავ ამას. იქ, რა თქმა უნდა, არის ისეთი კატეგორიაც ხალხისა, რომელიც, უბრალოდ, გამოყენებულია ამ საქმეში და რომელსაც მართლა უნდა, რომ პირობები შეიმსუბუქოს. ეს ნორმალური ადამიანური სურვილია, მაგრამ აშკარად ჩანს, ეს პროცესი იმართება.

***— მოდით, პიარის ნაწილსაც შევეხოთ, თითქოს დასავლეთმა ტონი შეარბილა ახალ ხელისუფლებასთან მიმართებით. იგივე რასმუსენის ბოლოდროინდელი განცხადებები რომ ავიღოთ, ტონი აშკარად შეცვლილია.***

— ჯერ ერთი, იმანაც გამოიღო შედეგი, რომ მის ოფიციალურ საიტზე რა ხდებოდა, ვიცით ყველამ. ათასობით ადამიანი შევიდა და აღშფოთება გამოხატა. იგივე ჩეჩირეს გუშინდელ სტატიას რომ აიღებ, ნახავ, რომ იქ გარკვევით არის ნათქვამი, ყოველი ასეთი გამონათქვამი და სუბიექტური მიდგომა საქართველოში წარმოშობს ანტიამერიკულ და ანტიდასავლურ დამოკიდებულებას. ჯერ ერთი, ახალმა ხელისუფლებამ უნდა იცოდეს, როგორც არ უნდა ეცადონ მისი დეზორიენტაცია, როგორც არ უნდა გალანძღონ და აკრიტიკონ, მათ ყველაფერი ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა აკეთონ ისე, როგორც დაჰპირდნენ ამომრჩეველს და უნდა იმუშაონ დასავლეთში იმ ოფიციალურ პირებთან, რომლებსაც ჩააგონა ნაციონალური მოძრაობის აქტივმა, რომ დემოკრატია თურმე უკან იხევს საქართველოში. გადაჭრით უნდა ითქვას, ისინი საკუთარ ტყავსაც იცავენ ამით, იმიტომ რომ პირდაპირ დგება საკითხი ასე: თუ საქართველოში ასეთი ვითარება იყო, ხალხს ატერორებდნენ, პატიმრებს აწამებდნენ, რას ჰქვია, როგორ იყო ეს დემოკრატიის შუქურა და რატომ აძლევდნენ ასეთ შეფასებას? ამიტომ ისინი დაინტერესებულნი არიან, საკუთარი თავიც დაიცვან. ნურც ის დაგვავიწყდება, რომ არსებობს საერთაშორისო კორუფციაც. ძალიან თავს რომ იქებდა სააკაშვილი, რომ კორუფცია დაამარცხა, ის ნამდვილად იყო კორუფციულ გარიგებებში მთელ რიგ უცხოელ მოხელეებთან. ამის დამტკიცება ძალიან გაჭირდება, მაგრამ ეს ჩანს მათი გამონათქვამებიდან და საქმეებიდან. ისინი დავალებული არიან სააკაშვილისგან.

***— ერთ-ერთი მტკივნეული საკითხი, ალბათ, ელჩების თემაც არის. ახალი ხელისუფლება ვერ ახერხებს ახალი ელჩების დანიშვნას. გიგა ბოკერია შანტაჟსა და ვაჭრობაზე წავიდა ხელისუფლებასთან, თუ ჩვენს მომხრეებს არ გაათავისუფლებთ და პირველ რიგში — ახალაიას, ელჩებს არ გამოვიწვევთო.***

— თუ ახალი ხელისუფლება გიგა ბოკერიას შანტაჟზე წამოეგება, არაფრით კარგით ეს არ დამთავრდება. ამ კოჰაბიტაციას რომ გაიძახიან გაუთავებლად, უნდა დასვან ეს ჩვენი დასავლელი მეგობრები და აუხსნან, რომ რანაირი კოჰაბიტაციაა, როცა ელჩი მუშაობს წინა ხელისუფლების დასაცავად და პრეზიდენტი და მისი გუნდი ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ არ გამოიწვიოს. აი, ეს საკითხები უნდა დადგეს. იგივე ნატოს მინისტერიალზე საგარეო საქმეთა მინისტრს ამაზე უნდა ეთქვა, მე თუ მკითხავთ.

***— ასე თუ ისე, მძიმე ფონია, პრეზიდენტს თავისი გუნდი ჰყავს და ბრძოლას განაგრძობს. რა პროცესებს ელით?***

— მაგათ თუ აქვთ იმის იმედი, რომ უკან დაბრუნდებიან ხელისუფლებაში, ეს არის მაგათი კატასტროფული შეცდომა. ეს გამორიცხული ამბავია. რაც უფრო მეტ პრობლემას შეუქმნიან ახალ ხელისუფლებას, მით ცუდი მათი პოლიტიკური მომავლისთვის. ეს ცალსახა ამბავია, წააგე ხომ არჩევნები? უნდა გაიწიო გვერდზე და პრობლემები არ შეუქმნა ახალ ხელისუფლებას. სულ ტყუილად ფიქრობდნენ ეგენი, რომ ადგილებზე ძალაუფლებას შეინარჩუნებდნენ და მერე ამ ადგილებზე თავიანთი კადრების მეშვეობით დაბრუნდებიან ცენტრალურ ხელისუფლებაში. ეს გამორიცხული ამბავია!

***— ალბათ, ეს ვითარება იქნება მანამ, სანამ საპრეზიდენტო და ადგილობრივი არჩევნები არ ჩატარდება.***

— შეიძლება, მანამდეც შეიცვალოს რამე. ეს მთლიანად დამოკიდებულია ახალი ხელისუფლების ტაქტიკაზე. კაცი აირჩა იანვარში და თავის თავს დაუმატა კიდევ ათი თვე, თუ ამის გაგება დასავლეთში არ უნდათ, მაშინ ეს გასაგებად, სამართლებრივ ენაზე უნდა აუხსნა.

***— დაპატიმრებების პროცესს რაც შეეხება, საზოგადოებაში არის უკმაყოფილების განცდა, რომ მხოლოდ დაბალი რანგის ჩინოვნიკების დაჭერით იფარგლება პროკურატურა და შემდეგ სასამართლო მათ გირაოს სანაცვლოდ ათავისუფლებს. კატათაგვობანას თამაშობენო, ასეთი შეფასებებიც მოვისმინე.***

— ჯერ ერთი, გირაოთი გათავისუფლება არ ნიშნავს, რომ ეს პირი უდანაშაულოდ არის აღიარებული. თუ ბრალი დაუდასტურდება, უკან შებრუნდება. ამიტომ მე მაგას არ ვუყურებ, როგორც სერიოზულ კატასტროფას. ადამიანებს უნდათ, რომ დღესვე დაპატიმრებული და განაჩენგამოტანილი იხილონ, მაგრამ არის გარკვეული სამართლებრივი პროცედურები, რომლებიც გასავლელია. რაც შეეხება იმას, რომ დაბალჩინოსნები არიან, საპროცესო გარიგება მე და შენ არ მოგვიგონია, მოიგონა სააკაშვილის რეჟიმმა. დაბალი რანგის მოხელეს შეუძლია, ითანამშრომლოს გამოძიებასთან და მისცეს ჩვენება მის ზემდგომზე. ასეთ შემთხვევებში საპროცესო გარიგება სრულიად რეალურია. ესეც არ არის ჩემთვის მაინცდამაინც შემაწუხებელი, მტკიცებულებების ბაზა უნდა შეიქმნას. იმდენი დანაშაული აქვთ ჩადენილი, 9 წელი ცოტა დრო ხომ არ არის. ამას ყველაფერს უნდა სერიოზულად გამოძიება, აკინძვა, ისე, რომ უტყუარი მტკიცებულებები გეჭიროს ხელში. გირაო გამოძიების პერიოდში გარეთ ყოფნის საფასურია. თუ დაუმტკიცდება ბრალი, შებრუნდება უკან და არც იმ გირაოს უკან არავინ არ დაუბრუნებს.

მე მესმის ადამიანების განწყობა, რომ ჩქარა უნდათ შედეგი, მაგრამ ასე უცებ და სწრაფად არ ხდება, მით უმეტეს ახლა ხელისუფლების გარდამავალი პერიოდია. ერთი ხელისუფლებიდან მეორის ხელში გადადის ძალაუფლება. მე საზოგადოების ძალიან კარგად მესმის, თუმცა, ისიც მესმის, რომ ათეულათასობით განცხადებაა პროკურატურაში შესული და ეს კიდევ დიდხანს გაგრძელდება. ამ ყველაფერს კი რეალურად ხომ უნდა დრო, ხომ უნდა გამოძიება!

## თურქულმა მხარემ თავდაცვის სამინისტროს საჩუქრად ავტომანქანები გადასცა

თურქეთის რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის წარმომადგენლებმა, გუშინ საქართველოს სამხედრო უწყებას, საჩუქრად ორი ერთეული „ლენდ როვერის“-ის მარკის საველე სარემონტო მანქანა და ერთი ერთეული „ფორდის“ მარკის ცეცხლმქრობი საველე მანქანა გადასცეს.

გადაცემის ცერემონია, ორხევის დასახლებაში მდებარე საავტომობილო ბატალიონის ბაზაზე გაიმართა.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, საქართველოს თავდაცვის უწყებისთვის მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების გადმოცემა, თურქეთის მხარესთან 2006 და 2008 წლებში ხელმოწერილი საგარეო სამხედრო დახმარების პროგრამის ფარგლებში მოხდა. ქართული მხარის მხრიდან დოკუმენტს ხელი ჯარების ლოგისტიკური უზრუნველყოფის სარდალმა ვიცე-პოლკოვნიკმა გიორგი კერესელიძემ, ხოლო თურქეთის მხრიდან — თურქეთის გენერალური შტაბის ლოგისტიკური საკითხების ოფიცერმა, შტაბის მაიორმა აიჰან დოღრუოზიმ მოაწერეს.

„დღევანდელი დღე კიდევ ერთი დასტურია საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკის თავდაცვის უწყებებს შორის ნაყოფიერი თანამშრომლობისა. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სახელით მადლობას გიხდით იმ მხარდაჭერისათვის, რომელსაც უკვე მრავალი წელია თურქული მხარე ახორციელებს საქართველოს შეიარაღებული ძალების მიმართ და არა მხოლოდ ლოგისტიკისა და საგარეო ფინანსური დახმარებების ფარგლებში. უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება იმ თანადგომას, რაც ქართველი სამხედროებისათვის საგანმანათლებლო კურსებით უზრუნველყოფასა და სხვადასხვა სფეროში გამოცდილების გაზიარებით გამოიხატება“ — განაცხადა თავდაცვის მინისტრის მოადგილემ ალექსანდრე ბურჭულაძემ.

ნიუსპრესი

## ჩვენი მწერლობის“ დარბაზში ჯემალ ფოცხვერიას წიგნების განხილვა გაიმართა

ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ დარბაზში გაიმართა განხილვა ჯემალ ფიცხვერიას წიგნებისა: „შავი სათვალე ეკეთა“ და „ჩემი ცხოვრების აღმართი“. ეს უკანასკნელი ახლახან გამოვიდა. როგორც „ჩვენი მწერლობის“ მთავარმა რედაქტორმა როსტომ ჩხეიძემ განაცხადა, ჯემალ ფიცხვერია მწერლობაში უშიშროების სამსახურიდან მწერალ ვახტანგ ჯავახაძის ხელდასხმით მოვიდა. მისი თქმით, თუ საქართველოში კრიტიკა გვაქვს, და კრიტიკა ნამდვილად გვაქვს, ეს წიგნები შეუფასებელი არ უნდა დარჩეს.

წიგნი „შავი სათვალკე ეკეთა“ უშიშროების გენერლად მისი მუშაობის დროინდელ მოგონებებს ეხება და საინტერესო ცნობებს მოიცავს. მწერალი მათში მოყვანილ ხასიათებს ძირისძირობამდე სწვდება და ფსიქოლოგიურ პორტრეტებს ხატავს. ავტორი აღწერს 1956 წლის 9 მარტის, 1989 წლის 9 აპრილის, აფხაზეთისა და ყარაბაღის მოვლენებს, იგონებს ვალიკო ჟვანიას მიერ განხორციელებულ აფეთქებებსა და მერაბ კოსტავას გადასახლების ამბებს...

„ჩემი ცხოვრების აღმართში“ კი ჯემალ ფოცხვერიას ბავშვობისდროინდელი მოგონებებია თავმოყრილი. ძალზე საინტერესოდ არის გაცოცხლებული ძველი თბილისიც.

„თბილისზე რამდენი რამ დაწერილა, მაგრამ ეს წიგნი ამ ფონზეც არ ჩაიკარგება. მას თავისი ადგილი აქვს. ძალიან კარგად არის წარმოჩენილი ის კოლორიტი და ნიუანსები, რომლებიც დღეს დაკარგულია. ჯემალს შვილის, აწ გარდაცვლილი გია ფოცხვერიასთვის ამ ამბების მოყოლა ძალიან ჰყვარებია და მამას კინოსცენარისათვის მათ დაწერასაც სთხოვდა. ბატონმა ჯემალმა ეს მოგონებებიც სწორედ იმიტომ დაწერა, რომ წიგნი მისი შვილის ხსოვნის მემორიალი ყოფილყო“, — აღნიშნა როსტომ ჩხეიძემ.

როგორც წიგნზე — „შავი სათვალე ეკეთა“ — მომხსენებელმა სალომე კაპანაძემ განაცხადა, მასში იკვეთება თბილი, გამჭრიახი, სევდიანი ადამიანის პორტრეტი, რომლის დამსხვრევაზეც საბჭოთა მანქანა დაუნდობლად მუშაობდა.

„ჩემი ცხოვრების აღმართზე“ მოხსენებით მაია ჯალიაშვილი გამოვიდა. მისი შეფასებით, წიგნში ავტორის სულიერი განვითარების, პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესია ასახული. ჯემალ ფოცხვერია მასში მგრძნობიარე ბავშვად წარმოგვიდგება, რომლის ნაწერებშიც თბილისური ეზოს ხმები, ფერები და სურნელები შემოდის.

შეხვედრაზე სიტყვით გამოვიდნენ: თამარ ყალიჩავა, ნინო ვახანია, ვახტანგ ჯავახაძე, გივი შაჰნაზარი, მანანა გაბაშვილი, მაკა ჯოხაძე, რუსუდან ნიშნიანიძე.

მედიანიუსი

# სოზარ სუბარი არასამთავრობოებს ციხეების მონიტორინგის უფლებას მისცემს

## ქალ პატიმრებს სათანადოდ ვერ მკურნალობენ

ნათია ხურცილავა

**მთავრობის კანცელარიაში გუშინ მინისტრები მთავრობის სხდომაზე შეიკრიბნენ. მინისტრთა კაბინეტმა 22 საკითხი განიხილა. სხდომის დასრულების შემდეგ იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა ჟურნალისტების კითხვებს უპასუხა.**

იუსტიციის მინისტრის მიმართ კითხვები ყოფილი პრემიერის ვანო მერაბიშვილის დაკითხვაზე განმეორებით დაბარებას უკავშირდებოდა. თეა წულუკიანის განცხადებით, შინაგან საქმეთა ყოფილ მინისტრ ვანო მერაბიშვილის დაბარება დაკითხვაზე კვლავ ყალბ პასპორტს უკავშირდება.

— მერაბიშვილი დამატებით დაკითხვაზე იყო დაბარებული ისევ და ისევ იმ პასპორტის თემასთან დაკავშირებით, რომელიც, როგორც ჩანს, გაცემულია წინა ხელისუფლების პირობებში რეესტრის მიერ, რომელთან დაკავშირებითაც არაერთი კითხვა არსებობს, მაგალითად, რატომ ჰქონდა უკვე ყოფილ პრემიერ-მინისტრს ეს პასპორტი, უნდა ჰქონოდა თუ არა და რა მიზნით იყენებდა, ხომ არ იყენებდა ამ პასპორტს აბსოლუტურად არამიზნობრივად. ამასთან დაკავშირებით დამატებითი დაკითხვა ჩაითვალა საჭიროდ შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან, — განაცხადა წულუკიანმა.

მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებს ფინანსთა მინისტრისგან ყოფილი მინისტრის, დეპუტატ გოგა ხაჩიძის მშობლების სახლის დაყადაღების მიზეზები აინტერესებდათ. როგორც ნოდარ ხადური ამბობს, გოგა ხაჩიძის მშობლების სახლთან დაკავშირებული საკითხი აბსოლუტურად მოგვარებადია. ასეთი განცხადება ჟურნალისტებთან მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ ფინანსთა მინისტრმა გააკეთა. ხადურის თქმით, ავტომატურ რეჟიმში მოხდა დეკლარირება და ეს არ ეხება მხოლოდ დეპუტატის მამის, მევლუდ ხაჩიძის ქონებას, არამედ ყველა იმ გადამხდელს, რომლებსაც დროზე არა აქვთ გადახდილი თანხა ელექტრონულად.

რაც შეეხება მევლუდ ხაჩიძის ქონებას, უნდა გითხრათ, რომ ქონების დეკლარირება ავტომატურ რეჟიმში მოხდა და ეს არ ეხება მხოლოდ მევლუდ ხაჩიძის ქონებას, ეს ეხება ყველა იმ გადამხდელს, რომლებსაც დროზე არ აქვთ გადახდილი გადასახადი. ამ შემთხვევაში ხდება ავტომატურად და ელექტრონულ რეჟიმში ხელოვნური აღსრულების მექანიზმი. რამდენადაც ვიცი, გოგა ხაჩიძემ თავად გააკეთა განმარტება და განაცხადა, რომ ეს საკითხი პოლიტიკურ თემას არ წარმოადგენს, ეს არის წმინდა საგადასახადო თემა და აბსოლუტურად მოგვარებადია. მე ვფიქრობ, რომ ეს საკითხი დღესვე მოგვარდება, გადაიხდის გადასახადს და ყადაღა მოეხსნება, — განაცხადა ხადურმა.

მისივე ინფორმაციით, საქმე ეხება 18 000 კვადრატული მეტრი ფართობის მიწის ნაკვეთს, რომლისთვისაც გადასახადი იყო დაახლოებით 250 ლარამდე და ის უნდა ყოფილიყო გადახდილი 15 ნოემბრამდე.

ხადურის განცხადებით, თავად გოგა ხაჩიძე აღნიშნულს წმინდა საგადასახადო საკითხს უკავშირებს და არა პოლიტიკურს.

შემოსავლების სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ხატია მოისწრაფიშვილმა განაცხადა:

— ეს არ არის ყადაღა, მევლუდ ხაჩიძის მიწის ნაკვეთებს საგადასახადო გირავნობა დაედო, ვინაიდან მას მიწის გადასახადი 235 ლარისა და 13 თეთრის ოდენობით გადახდილი არ ჰქონდა. ამავე მიზეზით 72 ათასი მოქალაქის მიწას დაედო გირავნობა. მათმა ნაწილმა გადასახადი უკვე გადაიხადა, — აღნიშნა მოისწრაფიშვილმა.

მისივე თქმით, მევლუდ ხაჩიძის კუთვნილებაში ხაშურის რაიონში 18 816 კვ მ მიწის ნაკვეთია. გადასახადის გადახდის შემთხვევაში მის უძრავ ქონებას გირავნობა ავტომატურ რეჟიმში მოეხსნება.




კიდევ ერთი საკითხი, რომელიც მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ ჟურნალისტების ყურადღების ცენტრში მოექცა, პატიმართა გათავისუფლებაა. როგორც სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრმა სოზარ სუბარმა განაცხადა, ისინი ავადმყოფი პატიმრების გასათავისუფლებლად პრეზიდენტის ხელმოწერას ელოდებიან.

— უმძიმესი ავადმყოფი პატიმრების გათავისუფლებაზე პრეზიდენტისგან ხელმოწერას დღეს ან ხვალ ველოდებით, — განაცხადა სოზარ სუბარმა.

სასჯელაღსრულების მინისტრის თქმით, თავდაპირველად საუბარი იყო 137 პატიმარზე, თუმცა ეს რიცხვი საბოლოოდ 109-მდე შემცირდა, რადგან ამ პატიმრების ნაწილი უკვე ციხიდან გათავისუფლებულია, მათ შორის ზოგიერთი პრეზიდენტის შეწყალებითაც გათავისუფლდა.

კიდევ ერთი საკითხი, რომელზეც სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრმა სოზარ სუბარმა ისაუბრა, მონიტორინგის მექანიზმი იყო. მინისტრი მიიჩნევს, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მონიტორინგის მექანიზმი სამინისტროსგან დამოუკიდებლად უნდა არსებობდეს.

— მივიჩნევ, რომ მონიტორინგის მექანიზმი სამინისტროსგან აბსოლუტურად დამოუკიდებლად უნდა იყოს. ის ჯგუფი, რომელიც ახლა არსებობს, ჩემი წინამორბედის დროს შეიქმნა და ვადაც მალე ეწურება. შესაბამისად, არ გავაუქმე. რაც შეეხება მონიტორინგის ჯგუფის შემდეგ ეტაპს, მისი დაკომპლექტება არასამთავრობო ორგანიზაციების რეკომენდაციების საფუძველზე მოხდება. ამასთან, გათვალისწინებული უნდა იყოს ისიც, რომ მონიტორინგის ჯგუფის წევრმა უნდა იცოდეს, ციხეში შესვლისას რას უნდა მიაქციოს ყურადღება, — განაცხადა სუბარმა.

გუშინ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს წარმომადგენლები სამოქალაქო ჯანდაცვის წამყვანი კლინიკების ექიმებთან ერთად სასჯელაღსრულების №5 დაწესებულებაში ქალ მსჯავრდებულთა ჯანმრთელობის საჭიროებებს შეისწავლიან.

სამინისტროს ინფორმაციით, ვინაიდან სასჯელაღსრულების სისტემაში პატიმართა დიდი უმრავლესობა მამაკაცია, სასჯელაღსრულების ჯანდაცვის სისტემაც უფრო მეტად მამაკაცთა საჭიროებებზეა მორგებული, რაც ქალებს არათანაბარ პირობებში აყენებს. სამედიცინო მომსახურებაზე თანაბარი ხელმისაწვდომობის მისაღწევად სამინისტრო 2013-1014 წლების განმავლობაში ადეკვატური ნაბიჯების გადადგმას გეგმავს, თუმცა დაგეგმილი სამედიცინო აქციის ფარგლებში იმ საჭიროებების დაკმაყოფილება მოხდება, რომლებიც რეფორმის განხორციელებამდე არ იცდის.

ქალ მსჯავრდებულებს სამედიცინო გამოკვლევებს ონკოლოგიის ეროვნული ცენტრის, კანისა და ვენერიულ სნეულებათა ეროვნული ცენტრის, კარდიოლოგიური კლინიკა „გულის“, დავით ტატიშვილის კლინიკის, კლინიკა „ნევროლოგის“, კლინიკა „ტესტის“ და მრავალპროფილიანი კლინიკა „მედლაბის“ ექიმები ჩაუტარებენ, საჭიროების შემთხვევაში კი სათანადო მკურნალობას დაუნიშნავენ. 6 დეკემბრის მონაცემებით, №5 დაწესებულებაში 956 ქალი იმყოფება, რომელთაგან 56 მიუსჯელია, 900 კი – პატიმარი.

**სამინისტროს ინფორმაციით, ვინაიდან სასჯელაღსრულების სისტემაში პატიმართა დიდი უმრავლესობა მამაკაცია, სასჯელაღსრულების ჯანდაცვის სისტემაც უფრო მეტად მამაკაცთა საჭიროებებზეა მორგებული, რაც ქალებს არათანაბარ პირობებში აყენებს. სამედიცინო მომსახურებაზე თანაბარი ხელმისაწვდომობის მისაღწევად სამინისტრო 2013–1014 წლების განმავლობაში ადეკვატური ნაბიჯების გადადგმას გეგმავს, თუმცა დაგეგმილი სამედიცინო აქციის ფარგლებში იმ საჭიროებების დაკმაყოფილება მოხდება, რომლებიც რეფორმის განხორციელებამდე არ იცდის.**

ჯანდაცვისა და სოცუზრუნველყოფის მინისტრმა დავით სერგიენკომ ჟურნალისტებთან სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ქირით უზრუნველყოფის პროექტზე ისაუბრა.

— ჯანდაცვის სამინისტროს პროექტი სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ქირით უზრუნველყოფის შესახებ გრძელდება, — ამის შესახებ ჯანდაცვის მინისტრმა დავით სერგიენკომ მთავრობის სხდომის შემდეგ განაცხადა.

მინისტრის განცხადებით, პროექტის მიზანია, სოციალურად დაუცველი პირები ზამთრის პირობებში ქუჩაში არ აღმოჩნდნენ.

რაც შეეხება შენობებში მათ შეჭრასა და მოთხოვნებს, სერგიენკო განმარტავს, რომ ამგვარი შემთხვევების მართვა მათ კომპეტენციაში არ შედის.

— ქირით უზრუნველყოფის თაობაზე ხელშეკრულება უკვე 1000-ზე მეტ სოციალურად დაუცველთან გავაფორმეთ. ჩვენ ვთავაზობთ, რომ, სულ მცირე, 6 თვის განმავლობაში მივცემთ საცხოვრებლად ადაპტირებულ შენობებში ცხოვრების საშუალებას, ისინი კი ამბობენ — რა ვქნათ 6 თვის შემდეგ, ამიტომ ახლავე უარს ვამბობთ და შევდივართ საცხოვრებლად უვარგის პირობებშიო. ამაზე მსჯელობა ჯანდაცვის სამინისტროს კომპეტენციას სცდება და ამგვარი მიდგომა ჩემთვის გაუგებარია, — განაცხადა სერგიენკომ.

მისივე ინფორმაციით, 6 თვის შემდეგ იგეგმება სოციალური დახმარების გაზრდა და სოციალურად დაუცველები საკუთარი ბინის ქირის უზრუნველყოფას თავადვე შეძლებენ.

ჟურნალისტების კითხვებს სახელმწიფო მინისტრმა ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ალექსი პეტრიაშვილმა უპასუხა.

პეტრიაშვილი პრეზიდენტ სააკაშვილის განცხადებას გამოეხმაურა.

— ბრიუსელში ნატოს მინისტერიალზე საქართველოსთვის მაპის მინიჭების საკითხი არ განიხილებოდა, — განუცხადა ჟურნალისტებს მთავრობის სხდომის შემდეგ სახელმწიფო მინისტრმა ევროპასა და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში.

ალექსი პეტრიაშვილის თქმით, ეს იყო ძალიან მნიშვნელოვანი ღონისძიება, რომელზეც საქართველოში მიღწეული პროგრესი დაფიქსირდა. მინისტრის განმარტებით, დადებითად შეფასდა საპარლამენტო არჩევნები და ნატო-საქართველოს კომისიის სხდომაზე ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა პირდაპირ განაცხადა, რომ იმსჯელეს საქართველოს ნატოში ინტეგრაციასთან დაკავშირებულ კონკრეტულ გეგმებზე.

— ანდერს ფოგ რასმუსენმაც დააფიქსირა ნდობა საქართველოს მთავრობისადმი, რომ ჩვენ ყველა ქმედებას კონსტიტუციის დაცვით განვახორციელებთ. საუბარი შეეხო ავღანეთის ოპერაციაში მონაწილეობას და ასევე დაისახა კონკრეტული ამოცანები შემდგომი პროგრესის დაფიქსირებისა და რეალური ინტეგრაციისთვის. მაპზე არჩევნების შემდეგ არც ერთხელ საუბარი არ ყოფილა. ამ თემაზე ადრეც მცდარი მოლოდინები იქმნებოდა, ამ შემთხვევაში კი პრეზიდენტი ვიღაცამ შეცდომაში შეიყვანა ან ეს არასწორი განცხადებაა, — აღნიშნა ალექსი პეტრიაშვილმა.

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ვარშავაში ვიზიტისას განაცხადა, რომ ნატოს მინისტერიალზე საქართველოს ინსტიტუციური პროგრესი არ დაფიქსირებულა.

მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, ბრიუსელში მაპის მიღების დიდი შანსი იყო. ამის შესახებ პოლონეთში მყოფმა საქართველოს პრეზიდენტმა ქვეყნის პირველ პირთან ბრონისლავ კომოროვსკისთან შეხვედრის შემდეგ ქართველ ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა.

გუშინ პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი რელიგიური ნიშნით რეგიონებში დაპირისპირების რამდენიმე ფაქტს გამოეხმაურა.

ივანიშვილის განცხადებით, რელიგიური ნიშნით დაპირისპირების გახშირება პროვოკაციის ნიშნებს ატარებს და საქართველოს სახელმწიფოს დისკრედიტაციას ისახავს მიზნად.

— სრულიად შემაშფოთებელია ის ვითარება, რომელიც ამ ბოლო დროს საქართველოს ზოგიერთ რაიონში შეიმჩნევა — ერთმანეთს დაუპირისპირდნენ მართლმადიდებელი და მუსლიმანი ჩვენი თანამოქალაქეები. ხაზგასმით მინდა ვთქვა, რომ ასეთი დაპირისპირება სრულიად უცხოა ჩვენი ხალხისათვის. ეს არ არის ქართული მოვლენა. საუკუნეების განმავლობაში მართლმადიდებელ ქრისტიანებთან სრულიად მშვიდობიანად თანაცხოვრობდნენ სხვა რელიგიის წარმომადგენლები და ისტორიას რელიგიური ნიშნით დაპირისპირების თუნდაც ერთი შემთხვევაც კი არ ახსოვს. სწორედ ამიტომ მიმაჩნია, ამ ბოლო დროს რელიგიური ნიშნით დაპირისპირების გახშირება აშკარად პროვოკაციის ნიშნებს ატარებს და საქართველოს სახელმწიფოს დისკრედიტაციას ისახავს მიზნად. რელიგიური აღმსარებლობის თავისუფლება ყველა ამ ქვეყნის მოქალაქის კონსტიტუციური უფლებაა და ჩვენი ხელისუფლება ვინმესთვის ამ უფლების შეზღუდვას არ დაუშვებს. სამართალდამცავი ორგანოები თითოეულ კანონდარღვევას გამოიძიებენ და უმკაცრესად დაისჯება ყველა, ვინც ამ სამარცხვინო დაპირისპირებაში კანონსაწინააღმდეგოდ მონაწილეობს. მინდა მოვუწოდო ჩვენს როგორც მართლმადიდებელ, ისე მუსლიმან მოქალაქეებს, თავი შეიკავონ და პატივი სცენ ჩვენი ქვეყნის ტრადიციას, რომლისთვისაც სრულიად უცხოა ასეთი დაპირისპირება, პროვოკაციებს ნუ აჰყვებიან და ყოვლად ულირსებო ქმედების მონაწილეები ნუ გახდებიან. როგორც ამ ქვეყნის პრემიერ-მინისტრი, ვიღებ პასუხისმგებლობას და გპირდებით, რომ ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებს, რომელ კონფესიასაც არ უნდა მიეკუთვნებოდნენ ისინი, მშვიდობიანი თანაცხოვრების გარანტია ექნებათ, — განაცხადა ივანიშვილმა.

გუშინ საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის წარმომადგენლებს შეხვდა. შეხვედრა საქართველოს მთავრობის კანცელარიაში გაიმართა.

ივანიშვილმა ევროსაბჭოს წარმომადგენლებს მადლობა გადაუხადა საპარლამენტო არჩევნებში ქართველი ხალხის მხარდაჭერისა და იმ განსაკუთრებული როლისთვის, რომელსაც ევროსაბჭო რუსეთთან ურთიერთობების დარეგულირების კუთხით იჩენს.

როგორც ცნობილი გახდა, შეხვედრაზე მხარეებმა საქართველო-რუსეთის ურთიერთობების საკითხზე და თვითმმართველობების განვითარების აუცილებლობის შესახებ ისაუბრეს. საუბარი ასევე შეეხო საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებსაც.

# მაკა ბურდული: გუჯა ბურდულის შვილი რომ არ ვიყო, მოსკოვში ვინ გამატოკებდა?!“

ეკა ირემაშვილი

რეჟისორი მაკა ბურდული გასულ კვირას კიდევ ერთი საერთაშორისო ფესტივალიდან დაბრუნდა გამარჯვებული. მისმა ფილმმა „ომი და სიყვარული“ რუსეთში გამართულ საერთაშორისო ფესტივალზე მიიღო პრიზი ორიგინალური გადაწყვეტისთვის. ამავე ფილმმა ქართველ რეჟისორს ჩინეთში ფესტივალის მთავარი პრიზი „ოქროს პანდა“ მოუტანა.

რეჟისორის ერთ-ერთ ბოლო ნამუშევარში, ისევე, როგორც მის უმეტეს ფილმებში, მთავარ როლს მამამისი გუჯა ბურდული თამაშობს. მთლიანობაში მაკა ბურდულს გადაღებული აქვს 25-მდე მოკლემეტრაჟიანი ფილმი, თუმცა მათი ნაწილი სხვა ფილმებს არ ჰგავს და ფოტომასალით არის აწყობილი. რეჟისორმა გადაიღო ფილმები სოფიკო ჭიაურელზე, გრიგოლ ფერაძეზე, სადაც მთავარ როლში კვლავ გუჯა ბურდული დააკავა.

ფილმი „ომი და სიყვარული“ ფოტოფილმადაც იყო ცალკე გაკეთებული, მაგრამ შემდეგ უკვე დაემატა მეორე მსოფლიო ომის მასალები და უფრო ვრცელი გახდა. მასში მონაწილეობენ გუჯა ბურდული, ინესა აბესაძე, აკაკი მაქაცარია, მაკა ვასაძე, გიორგი ობოლაძე და გიორგი ბიბილეიშვილი. ფილმის კომპოზიტორია გოგი ჩლაიძე, მონტაჟი კი ირაკლი ლომსაძეს ეკუთვნის.

რატომ არ იღებს ძმებს თავის ფილმებში, რატომ დაანება მოსკოვის ტელევიზიაში მუშაობას თავი და რა სიახლეებს უნდა ველოდოთ რეჟისორისგან, ამ თემებზე მაკა ბურდული „ახალ თაობას“ ესაუბრა.

**მაკა ბურდული:**

– ჩამოვედი კიდევ ერთი ფესტივალიდან, სადაც მივიღე პრიზი ორიგინალური გადაწყვეტისთვის. მოსკოვთან რომ შეაჩერეს მტერი რუსებმა მეორე მსოფლიო ომის დროს, იმ ადგილს ჰქვია ვალაკალანსკი. სწორედ იქ დგას დიდი ძეგლი და ჰქვია ვალაკალანსკი რუბეჟ. ეს არის პადმასკოვიე, სადაც ყოველწლიურად ტარდება უფროსი ბონდარჩუკის – სერგეი ბონდარჩუკის სახელობის ფესტივალი. ფესტივალს ჰქვია „ვალაკალანსკი რუბეჟ“ და უშუალოდ ფიოდორ ბონდარჩუკის აქტიურობით ტარდება.

***– ფესტივალი მთლიანად მეორე მსოფლიოს ომის თემას ეძღვნება?***

– რუსეთისთვის მეორე მსოფლიო ომის თემა იგივეა, რაც ჩვენთვის დავით აღმაშენებლის მიერ დიდგორის ომის მოგება. ამ ფესტივალზე იკრიბება მოსკოვის მთელი ბომონდი, ძალიან შინაურული ფესტივალია.

***– ფესტივალი საერთაშორისოა?***

– კი, მაგრამ ისევ რუსები იღებენ მეორე მსოფლიო ომის თემაზე ფილმებს, სხვა ყველა ამბობს, ამოვიდა ყელში ეს თემაო, თვითონ გერმანელებიც კი.

***– ბევრი ფილმი მონაწილეობდა წელს ფესტივალში?***

– საკმაოდ, ბევრი საინტერესო და ძლიერი ფილმი იყო. ამ ფესტივალზე არის ერთი გრანპრი და რამდენიმე პრიზი, ერთ-ერთი პრიზი ავიღე მე და მომანიჭეს ორიგინალური გადაწყვეტისთვის ფილმში „ომი და სიყვარული“.

***– შეგიძლიათ გვითხრათ, რაზეა თქვენი ფილმი?***

– მგონია, რომ ფილმის სახელწოდება ისედაც ყველაფერზე მეტყველებს. ფილმი ამერიკელებისა და გერმანელების მიერ გადაღებული ომის ქრონიკით არის აწყობილი. ეს მასალები ჩამოვიტანე გერმანიიდან, ბერლინის ბიბლიოთეკიდან. გამაოცა ამ მასალების ხარისხმა, საოცარი ოპერატორული ნამუშევრებია. ბატალურ სცენებს რომ იღებდნენ, რა ქრონიკა იქნებოდა და რა ხარისხი ამერიკელებისა და გერმანელების მიერ კოდაკზე გადაღებული, ხომ წარმოგიდგენიათ. ამ ფოტომასალებითა და ფოტოფილმით დავაკავშირე ეს ქრონიკა.

***– ფოტოკადრების გამოყენების უფლება ოფიციალურად მოიპოვეთ?***

– ფოტოები ჩემი იყო და ქრონიკას რაც შეეხება, მისი მიღება არანაირი პრობლემა არ არის, ვისაც აქვს სურვილი, ყველა გამოიყენებს. იქ ფილმებს ვადა აქვს, 45 წლის შემდეგ თუ კიდევ ვინმემ ნახა ფილმი, მისი ავტორისთვის ეს დიდი მიღწევაა და 67 წლის შემდეგ დავინტერესდი ამ ქრონიკით, ამიტომ ეს მათთვის ნამდვილად საამაყოა.

***– ეს ფესტივალი ყოველწლიურია?***

– კი და მასში მხოლოდ ომის თემაზე შექმნილი ფილმები მონაწილეობენ. ეს ფესტივალი ერთგვარად ვიწრო სპეციალობით არის.

***– საქართველოდან მხოლოდ თქვენ იყავით?***

– მაგ ფესტივალზე მარტო მე ვიყავი.

***– რატომ დაინტერესდით მეორე მსოფლიო ომის თემით?***

– ბაბუა, დედაჩემის მამაა გარდაცვლილი მეორე მსოფლიო ომში და მას მივუძღვენი ეს ფილმი. საერთოდ, მიყვარს მიძღვნები და მიმართლებს ხოლმე.

***– როდის ჩატარდა ფესტივალი?***

– წინა კვირას. საერთოდ, ფესტივალებში მონაწილეობის ყოველთვის დიდი სურვილი მაქვს ხოლმე, მაგრამ პრობლემა ყოველთვის ფინანსებია. როდესაც თემურ ბაბლუანის ფილმმა „უძინართა მზემ“ „ნიკა“ აიღო მოსკოვში, მაშინ „აზოტმა“ დაგვაფინანსა. ამ ფილმმა ორი პრიზი აიღო და „ნიკა“ რუსული კინოაკადემიის „ოსკარია“, საკმაოდ პრესტიჟულ ჯილდოდ არის მიჩნეული. ახლა რომ ვერ მივდიოდი, ყველა მეუბნებოდა, ძლივს დათბა ურთიერთობები რუსეთსა და საქართველოს შორის, თან ფიოდორ ბონდარჩუკმა მიიწვია ფილმი ფესტივალზე და როგორ ვერ უნდა წახვიდეო. ფიოდორ ბონდარჩუკი საკმაოდ გლამურული პიროვნებაა არა მარტო მოსკოვისთვის, არამედ მთელი რუსეთისთვის. როცა თვითონ ფიოდორ ბონდარჩუკი გწერს და გეუბნება, ჩამოდი ფესტივალზეო, თუ არ ჩახვალ, ეს ნამდვილად ცუდი ჟესტია. იმასაც მწერდა, მხოლოდ გზის ხარჯები მოაგვარე და დანარჩენზე ჩვენ ვართ პასუხისმგებლებიო. მართლაც, რომ ჩავედი, აეროპორტში დამახვედრეს მანქანა და თან გადამყვნენ. იქ ჩასასვლელი ფინანსები ვერანაირად ვერ ვიშოვე. უკვე ჩაქნეული მქონდა ხელი, რომ ფესტივალზე ვერ წავიდოდი. შემხვდა ჩემი ბიძაშვილი, არჩილ აბესაძე, რომელიც „აზოტში“ მუშაობს, ვუთხარი, მაშინ როგორ დაგვეხმარა „აზოტი“-მეთქი. როცა ჩემი მდგომარეობა ავუხსენი, მითხრა, არა მგონია, რომ კიდევ რამე გამოვიდეს, მაგრამ მაინც სცადეო. ვცადე და ისევ გამოვიდა. მაშინაც „აზოტმა“ გვიხსნა და ახლაც. თუკი საქართველოს აქვს კადრები, რომ „ნიკა“ აიღო „უძინართა მზემ“, ეს სწორედ ამ კომპანიის დამსახურებაა. თემურ ბაბლუანის ფილმის ეს წარმატება კარლ ცეისთან გატანილი ბურთის ტოლფასია. ჩემი ბიძაშვილი რომ არა, დავრჩებოდი კიდევ ერთი გამარჯვების გარეშე, თუმცა, ეს გამარჯვება მარტო ჩემი არ არის, ეს ჩვენი ქვეყნის სახელია. ავუხსენი კიდეც, ისეთი ფილმია, არ შეგარცხვენთ, აუცილებლად გამარჯვებულნი დავბრუნდებით-მეთქი და ასეც მოხდა. გენერალურმა დირექტორმა მარკ კაცნელსონმა და მისმა მოადგილემ აბესალომ ქეუხიშვილმა დიდი ნდობა გამომიცხადეს და ამისთვის მათ დიდ მადლობას ვეუბნები.

***– ბოლო ფესტივალზე მამაც წაიყვანეთ?***

– ძალიან მინდოდა, რომ მამაც წამეყვანა, მაგრამ ვერ გავქაჩეთ ამდენი, ისე, მიწვეული კი იყო, მაგრამ დავტოვე თბილისში.

***– აღნიშნეს რუსეთში გუჯა ბურდულის 70 წლის იუბილე?***

– კი, აღნიშნეს და თანაც საოცრად ზღაპრულად.

***– ჩვენთან არ აღინიშნა?***

– არ ეცალათ, სად სცალიათ ასეთი რაღაცებისთვის!

***– თქვენ ძირითადად დოკუმენტურ ფილმებზე მუშაობთ?***

– კი, დოკუმენტური და ექსპერიმენტული ფილმების კეთება მიყვარს, ისეთი ფილმების, რომლებიც შაბლონური არ არის და დანარჩენებს არ ჰგავს. მოკლემეტრაჟიან ფილმზე მუშაობისას ფინანსები ნაკლებია საჭირო, თორემ სრულმეტრაჟიანს იმდენი თანხები სჭირდება, ასეთ ფილმს ვერასოდეს გადავიღებ. თუკი მოკლემეტრაჟიანს მინიმალური თანხა სჭირდება, სრულმეტრაჟიანს რამდენიმე ნულით მეტი ესაჭიროება. ამერიკაში ერთ წუთში რომ იხარჯება თანხა, იმით მე ფილმს ვიღებ.

***– გრიგოლ ფერაძის ფილმი დაასრულეთ?***

– დავასრულე, ისიც რუსებმა მომცეს მთელი 500 დოლარი, კაციშვილმა არ მომაქცია ყურადღება, ვის არ მივმართე, მაგრამ – არანაირი გამოხმაურება. მინდა, ტიტრებში ცალკე დავწერო, ვინ არ დამაფინანსა. ყველა მეუბნებოდა, ისეთ ადამიანზე იღებ ფილმს, მთელი საქართველო უნდა ჩაერთოს ამაშიო, მაგრამ ეს მხოლოდ ცარიელი სიტყვები აღმოჩნდა. 5 ათასი ლარი ვითხოვე პეტრე ცისკარიშვილს, რომ დამემთავრებინა ფილმი, მაგრამ შენც არ მომიკვდე! სად გვაქვს ასეთი თანხებიო, ასე შემომითვალა.

***– ახლა რაზე მუშაობთ?***

– ირაკლი კავსაძეზე მინდოდა გამეკეთებინა ფილმი, მაგრამ ვერ მოვახერხე. „სინეტეკის“ თეატრი რომ იყო ჩამოსული საქართველოში, მაშინ მინდოდა მემუშავა, მაგრამ ცოცხალ-მკვდარი იყო სპექტაკლის შემდეგ და ვერ მოვახერხე მისი გადაღება.

***– რატომ აირჩიეთ ირაკლი კავსაძე?***

– იმიტომ, რომ მასზე დგას „სინეტეკის“ თეატრი, ამერიკაში პირველი ბიჭია. ირაკლი კავსაძესა და ირინა ციქურიშვილზე მინდა ფილმის გაკეთება, ამ გოგოს ამერიკაში 6 თეატრალური „ოსკარი“ ჰქონია აღებული. სპექტაკლის შემდეგ ფეხზე ველარ იდგნენ და მეუხერხულა მიკროფონით თავზე დადგომა და ფილმის კეთების დაწყება, ამიტომ შევუთანხმდი, რომ კითხვებს გავუგზავნი, ისინი ჩამიწერენ პასუხებს და მომაწვდიან. პაატა ციქურიშვილი ჩემი კურსელია, ირინა ჩემს დეიდაშვილთან ერთად სწავლობდა ქორეოგრაფიულში, ასე რომ, ყველანი მაინც ერთ სფეროში ვტრიალებთ და მათთან მუშაობა არ გამიჭირდება.

***– მთელი ოჯახი ხელოვანები ხართ. დედასა და მამას ხშირად იღებთ ფილმში, თქვენს ძმებს ლადოს და ბაკურს რატომ არ აკავებთ?***

– ისინი ისედაც დატვირთულები არიან




თავიანთ სფეროში. ბაკურს სულ კონცერტები ჰქონდა და არ ეცალა ჩემთვის, ლადო თვითონ აკეთებს ფილმს და გრანდიოზული ფესტივალის ჩატარებაც უნდა. ასეთი დაკავებულნი რომ არიან, კიდევ ფილმში თამაშს ვერ მოვთხოვ. ერთიორჯერ მუსიკა ვთხოვე ჩემივე ფილმებისთვის და მომცეს. ჩემი სადიპლომო ფილმი ლადოს მუსიკით მაქვს გაკეთებული, საახალწლო ფილმში კი ბაკურის ცნობილი სიმღერა „გილოცავთ ახალ წელს“ გამოვიყენე. ლადოსაც ვთხოვე სიმღერა „იანვარი, თებერვალი“ და ისიც ჩავსვი.

***– თქვენ არ მღერით?***

– არა. ყველაზე სასაცილო ის იყო, რომ როცა მუსიკალურ სკოლაში ვაბარებდით, მე ვიყავი აქტიური და ლადო იყო უფრო მორიდებული. მოხდა ისე, რომ მე მიმიღეს და ლადო გაუშვეს, ამისგან არაფერი გამოვაო. თურმე იმას აბსოლუტური სმენა ჰქონდა, მაგრამ ერიდებოდა. ისეთი ბუნჩულა ბავშვი იყო ლადო, ხმას ვერ ამოაღებინებდი.

***– რამდენი ფილმი გაქვთ უკვე გაკეთებული?***

– 25-მდე ფილმი უკვე მაქვს გაკეთებული.

***– და რატომ არ იცნობს მათ ქართველი მაყურებელი?***

– ყველა ჩემი ფილმი დევს ინტერნეტში „იუთუბიზე“ და, თუ აინტერესებთ, ნახავენ კიდეც, მარტო ჩემი სახელისა და გვარის ჩაწერაა საჭირო და მეტი არაფერი. ისეთ ფილმებს არ ვაკეთებ, კომერციული რომ იყოს და იყიდოს ვინმემ, თუმცა მოსკოვში რუსული ტელეარხები საკმაოდ დაინტერესებული არიან ჩემი ფილმებით. გასულ წელს უფრო აქტიურად ვმუშაობდი, წელს – ნაკლებად.

***– რატომ, გაზარმაცდით?***

– არ გავზარმაცებულვარ, საშინელი სტრესი მივიღე. მოსკოვიდან რომ ჩამოვედი, მითხრეს, მოსკოვის ტელევიზიაში რომ მუშაობ, კაგებეში აღრიცხვაზე ხარო და შოკში ჩავვარდი. აღარც მოსკოვის ტელევიზია მინდოდა და აღარც მუშაობა.

***– იქნებ არ არის ეს ინფორმაცია მართალი?***

– ისეთმა ადამიანმა მითხრა, რომ ის ტყუილს არ იტყოდა. ნამდვილად არ ვიცოდი, ასეთი პრობლემატური თუ იქნებოდა მოსკოვის ტელევიზიაში ჩემი მუშაობა.

***– როგორ მოაგვარეთ ეს პრობლემა?***

– წამოვედი ტელევიზიიდან, აბა, რა უნდა მექნა? მითხრეს, ყველა, ვინც მუშაობს მოსკოვის ტელევიზიაში, ამ სიაშიაო. რადგან მითხრა, ალბათ, ასეა. ნამდვილად არ მინდა, მოღალატის იარლიყი მიმაკერონ, ამიტომ შევეშვი რუსეთის ტელევიზიას.

***– იქ რა თანამდებობაზე მუშაობდით?***

– არანაირი თანამდებობა არ მქონდა. ვაკეთებდი პორტრეტებს ცნობილ ადამიანებზე. სანამ მოსკოვის ტელევიზიიდან წამოვიდოდი, 8-9 ძალიან კარგი პორტრეტის მომზადება მოვასწარი, ჩავწერე დიანა ღურწკაია, ჯგუფი „ექსბებე“, კახი კავსაძე, ირმა სოხაძე, თემურ თათარაშვილი, სხვათა შორის, ისიც მომიყვა, ხალხის მტრად რომ გამოაცხადეს. მოსკოვში არის ქართულ-ბოშური ანსამბლი, ქმარი ქართველია, გია ციხელაშვილი და ცოლი ჰყავს ბოშა. მათზეც გავაკეთე პორტრეტი.

***– მაკა, ბევრს ყვებიან, რომ მოსკოვში არ უყვართ კავკასიელები. თქვენ იქ 20 წელი გაატარეთ. მოსკოვში როგორ ცხოვრობენ ქართველები?***

– მოსკოვში საკმაოდ დიდხანს ვიცხოვრე, მაგრამ არანაირი პრობლემა არ შემქმნია. აქ, საქართველოში, უფრო დაძაბული მუხტია, ვიდრე რუსეთში. კი ამბობენ, თბილისში უფრო ლაღად ხარო, მაგრამ, უბრალოდ, იმათ ის არ უნახავთ, აქ რა ხდება, თორემ, ამას რომ ნახავენ, მერე ასე აღარ იფიქრებენ. თბილისში რომ ხალხი ერთმანეთს აყენებს შეურაცხყოფას, ასეთი რამ მოსკოვში ნამდვილად არ ხდება. კი, ერთი-ორჯერ მეც მქონდა კონფლიქტური სიტუაცია მოსკოვში, ხომ გაგიგიათ, ომის დროს ტანკს არ უნდა შეუვარდეო, მე კი ვუვარდებოდი, ამიტომ მოვლენები სხვანაირად ვერც განვითარდებოდა. 20 წელია იქ ვარ, მეფერებიან და თან მყვებიან. ვარ ერთ-ერთი ცნობადი იმ ქართველი რეჟისორებიდან, რომლებსაც იცნობს რუსი მაყურებელი და მოსწონს. წელიწადში რამდენიმე ფესტივალზე მეპატიჟებიან. უბიუჯეტო ფილმით ფესტივალზე რომ გეპატიჟებიან, უკვე ძალიან მაგარი ხარ. მილიონიანი ბიუჯეტით გადაღებული ფილმის გვერდით ფესტივალის პროგრამაში რომ ხარ, ეს ცოტა ნამდვილად არ არის. წარმოიდგინეთ, რამდენი თავით მაღლა უნდა იდგეს ჩემი უფულოდ გადაღებული ფილმი, რომ სხვის ფულით გადაღებულ ფილმს ვაჯობო.

***– როგორც წესი, რეჟისორები თანხებზე არ საუბრობენ ხოლმე, მაგრამ შეგიძლიათ მითხრათ, ყველაზე მცირებიუჯეტიანი და მაღალბიუჯეტიანი ფილმები რა დაგიჯდათ?***

– ყველაზე ძვირი დამიჯდა „სოფიკო“ – 1000 დოლარამდე. საერთოდ, პორტრეტები უფრო ძვირი ჯდება. გრიგოლ ფერაძეზე 500 დოლარი დამეხარჯა. ყველაზე დაბალბიუჯეტიანი ჩემი პირველი ფილმი იყო, ქორწინების ბეჭედი დავალომბარდე, რომ ტექნიკა მექირავებინა. ეს არის სამწუთიანი ფილმი, ბავშვებს ძუძუს რომ აჭმევენ, მთელი მსოფლიო საუკეთესო ვიდეოარტად რომ თვლის.

***– ბეჭედი ხომ არ დაკარგეთ?***

– კი, დავკარგე, ქმარიც დავკარგე. იმ თანხით გამოვიტანე ბეტაკამი, რომ ფილმი გადაგვეღო. 49 ლარი დაჯდა, თუ სწორად მახსოვს. ეს ყველაფერი 2002 წელს მოხდა. მხოლოდ ტექნიკა ვიქირავეთ, ყველამ უფასოდ იმუშავა.

***– ახლა სად იმუშავებთ, საქართველოში, პოლონეთში, ევროპაში თუ რუსეთში ჩახვალთ?***

– ყველგან ვიმუშავებ, სადაც დამიძახებენ. ახლა შედარებით დათბა რუსეთისა და საქართველოს ურთიერთობები. მომავალში რა იქნება, არ ვიცი, მაგრამ მეიმედება, რომ ამდენი პრიზის შემდეგ ქართული ტელესივრცეც დაინტერესდება ჩემით.

***– ასე რატომ ამბობთ?***

– იმიტომ რომ, რამდენ კარზე დავაკაკუნე, იცით? ბოლოს „ინფო ცხრაშიც“ ვცადე სამსახურის პოვნა, მაგრამ იქაც უარი მითხრეს, ყველაფერი შევსებულიაო. ვუთხარი, ნახვამდის-მეთქი და წამოვედი.

***– ანუ გინდათ თქვათ, რომ შავ სიაში ხართ?***

– არ ვიცი, რომელ სიაში ვარ, მაგრამ ფაქტია, რომ სამსახური საქართველოში ვერ ვიშოვე. ვუხსნი, წელიწადში ორ-სამ გრანპრის ვიღებ სხვადასხვა ფესტივალზე და იქნებ დამასაქმოთ-მეთქი, მაგრამ არაო.

***– მამა არ გამხნევებთ ხოლმე?***

– როგორ არ მამხნევებს. მამა საოცარი ადამიანია, ალალი, კეთილი, კარგი გოგო გაგაკეთეო, მეუბნება. მჯერა, რომ ოდესმე ნიჭიც იზეიმებს. ალბათ, მოსკოვიდან არ უნდა წამოვსულიყავი, მაგრამ ნამდვილად არ მინდოდა, გუჯი ბურდულის შვილს ხალხის მტრის იარლიყი მქონოდა.

***– მოსკოვშიც გუჯი ბურდულის შვილად გიცნობენ?***

– აბა რა და ეს ჩემთვის ძალიან საამაყოა. მე რომ გუჯი ბურდულის შვილი არ ვიყო, მოსკოვში ვინ გამატოკებდა?! მე თუ ვარ, მამაჩემით ვარ და ეს ქრისტიანულია, რომ მამისა და დედის დამოძღვრითა და კურთხევით ვარსებობ. თუკი რამეში გარკვევა მინდა, მამაჩემს ვეკითხები, მისი რჩევით ვმოქმედებ, მერე ჩემს სულიერ მამასთან მივდივარ და ის ცალკე მაძლევს კურთხევას, რჩევებს, მეჩხუბება კიდეც, როცა საჭიროა. ჩემი მოძღვარი, მამა რომანოზი, მოსკოვშია და, როცა მასთან მივდიოდი, სულ მეუბნებოდა, გრიგოლ ფერაძეს დაანებე თავი, სხვები იღებენ მასზე ფილმსო, მაგრამ ჯიუტი ვარ და აღარ მოვეშვი. სადაც გრიგოლ ფერაძე მსახურობდა პოლონეთში, იმ ტაძრის მოძღვრის კურთხევა მაქვს ამ ფილმის გადაღებასთან დაკავშირებით, მერე ჩემს მოძღვარს ვუთხარი, მაშინ იმ მამაოს კურთხევა მომიხსენით-მეთქი, ამის უფლება არ გვაქვსო და დამანება თავი. იმ პოლონელმა მამაომ მითხრა, შენ აუცილებლად გააკეთებ ამ ფილმსო. რუსული ვარიანტი კი მაქვს გრიგოლ ფერაძეზე, მაგრამ მეიმედება, ქართულ ვერსიასაც გავაკეთებთ, რომ ქართველმა მაყურებელმაც ნახოს. რუსებისთვის გრიგოლ ფერაძე იმდენად საინტერესო იყო, რომ პრიზიც ავიღე ამ ფილმში. ევრაზიის აკადემია ატარებს ფორუმს და შარშან ამ ფორუმში მივიღე დიპლომი იმისთვის, რომ მათთვის უცნობი სახე ასე საინტერესოდ წარმოვაჩინე.

# ინგლისი მანჩესტერული დერბის მოლოდინშია

## ინგლისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 08.12 | არსენალი-ვესტ ბრომვიჩი | 1.5 | 4.0 | 6.0 |
| 08.12 | სანდერლენდი-ჩელსი | 4.5 | 3.3 | 1.8 |
| 08.12 | სუონსი-ნორვიჩი | 1.8 | 3.5 | 4.2 |
| 08.12 | ასტონ ვილა-სტოკი | 2.37 | 3.1 | 3.0 |
| 08.12 | უიგანი-ქპრ | 2.2 | 3.3 | 3.1 |
| 08.12 | საუთჰემპტონი-რედინგი | 1.95 | 3.5 | 3.6 |
| 09.12 | სიტი-მანჩესტერი | 2.15 | 3.3 | 3.2 |
| 09.12 | ევერტონი-ტოტენჰემი | 2.0 | 3.4 | 3.5 |
| 09.12 | ვესტ ჰემი-ლივერპული | 3.0 | 3.2 | 2.3 |
| 10.12 | ფულემი-ნიუკასლი | 1.95 | 3.5 | 3.6 |

**არსენალი-ვესტ ბრომვიჩი**

არსენალი: ***ტრავმ***-აბუ დიაბი, ლორენ კოსიენლი, ბაქარი სანია, ანდრე სანტოსი, ლუკაშ ფაბიანსკი

ვესტ ბრომვიჩი: ***ტრავმ***-ბილი ჯონსი, ბენ ფოსტერი

**სანდერლენდი-ჩელსი**

